ეროვნული ბიბლიოთეკა


# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

N° 2 | მარტი 1952 — MARS 1952 | N° 2


## MEMORANDUM

### SUR LA SITUATION DE LA GÉORGIE

La Géorgie proclama son indépendance politique et se détacha de la Russie le 26 Mai 1918.

La décision du peuple géorgien fut confirmée par l'Assemblée Constituante de Géorgie élue par tous les citoyens géorgiens sans distinction de leur origine nationale, situation sociale, religion, sexe et conviction politique; elle s'énonça dans la forme d'une République démocratique.

Toutefois, les Géorgiens ne commencèrent pas, par cet acte, une nouvelle vie nationale, mais rétablirent leur existance politique indépendante de plus de deux mille ans de durée et interrompue au commencement du 19ème siècle par la Russie impériale : celle-ci annula unilatéralement le traité d'alliance conclu avec la Géorgie en 1783 et l'annexa purement et simplement, ce qui suscitait un grand mécontentement et plusieurs insurrections du peuple géorgien.

***

Le Gouvernement soviétique de Moscou reconnut la Géorgie comme Etat indépendant et souverain presque en même temps qu'il reconnût l'indépendance de la Pologne, de la Finlande et des Républiques Baltes — Esthonie, Lettonie et Lithuanie.

Le traité spécial, du 7 Mai 1920, garantissait, de la part de la Russie, l'indépendance de la Géorgie et l'inviolabilité de ses frontières.

En même temps, la Géorgie était reconnue comme Etat indépendant par l'Angleterre, la Belgique, la France, l'Italie, le Japon (le Conseil Suprême des Alliés), l'Allemagne, la Turquie, l'Argentine, etc... La plupart de ces Etats, y compris la Russie Soviétique, étaient dûment accrédités auprès du gouvernement géorgien et réciproquement et se trouvaient dans des relations normales.

***

Dans cette période d'après-guerre et la reconstruction nationale, la Géorgie avait beaucoup d'obstacles à surmonter, ce qu'elle réussit remarquablement.

La République démocratique géorgienne avait sa Constitution écrite, adoptée par l'Assemblée Constituante. Cette Constitution garantissait pleinement la liberté politique, tous les droits de l'homme et du citoyen déclarés auparavant par les grandes révolutions et confirmés dans notre temps par la Charte des Nations Unies.

L'Administration locale jouissait d'une autonomie large dans les affaires locales; la Constitution accordait l'égalité de droit aux minorités nationales dans tous les domaines de la vie politique, créait les conditions pour le développement social de toute la population et envisageait la plus vaste législation sociale.

***

Néanmoins, en 1921, sans aucun préliminaires diplomatiques et sans déclaration de guerre, la Russie envahit la Géorgie avec ses troupes et après une lutte acharnée, d'environ six semaines, l'occupa (c'était la deuxième fois pendant un siècle).

Le Gouvernement légal de Géorgie quitta le Pays conformément à la décision de l'Assemblée Constituante, pour continuer à défendre la cause géorgienne devant le monde civilisé.

Ainsi le cas de la Géorgie fut le premier exemple

retentissant qui fut suivi, dans le temps plus proche de nous, par le sort de la Pologne, de la Finlande, des Etats Baltes et de l'Europe Centrale.

⁂

La lutte pour la liberté nationale recommençait. Le peuple géorgien ne se soumit jamais au pouvoir d'occupation : il protestait, d'abord, dans les réunions publiques, par les démonstrations dans les rues, par les grèves et tous autres moyens de résistance et, ensuite, par les soulèvements armés — dont le plus important fut celui de 1924, suivis par la terreur acharnée et le versement de sang et les déportations de dizaines de milliers de la population Géorgienne.

A présent la Géorgie subit la russification subtile et dans telles mesures qui n'étaient pas connues pendant le régime tsariste, même dans les périodes de la plus intense colonisation du Pays.

⁂

L'acte de violation flagrante de la petite Géorgie fut condamné par l'opinion publique du monde civilisé : dans les réunions publiques, dans les congrès internationaux, dans les délibérations parlementaires, dans la presse libre etc...

Parmi les innombrables résolutions adoptées pour la cause géorgienne nous indiquons ici quelques unes, des plus caractéristiques :

1° — *Du Congrès Universel de la paix :*

« Le 31 Congrès Universel de la Paix, considérant que l'U.R.S.S. a été admise dans la Société des Nations dans les conditions envisagées par le Congrès de Locarno ; considérant que la S. D. N. est fondée notamment sur le principe du droit des peuples de disposer d'eux-mêmes ;

Que ce principe est à la base même de la constitution de l'U.R.S.S., laquelle par le traité conclu avec la Géorgie, en date du 7 Mai 1920, reconnût sans réserve l'indépendance et la souveraineté de l'Etat Géorgien ;

Considérant que c'est en violation de ce traité et contrairement à ce principe que l'U.R.S.S. occupe actuellement la Géorgie ;

Considérant que ce maintien de la Paix, but essentiel de la S.D.N., n'est possible que dans le respect des traités et de la justice internationale ;

Rappelant ses résolutions antérieures, demande instamment à la Société des Nations de prendre des mesures propres à mettre fin à une situation contraire aux droits des gens en invitant l'U.R.S.S. à rendre à la Géorgie son indépendance et les droits qu'elle tient à sa qualité d'Etat souverain » (Juin 1936, à Cardif - Angleterre).

2° — *De l'Internationale Socialiste :*

Dans un manifeste publié en 1924, l'Internationale Ouvrière Socialiste disait :

« Il y a soixante ans, le symbole du droit des peuples de disposer d'eux-mêmes était la revendication d'indépendance de la Pologne. Cette indépendance est établie. Aujourd'hui nous nous conformons à ce principe de l'Internationale, en réclamant le droit de libre disposition pour la Géorgie, symbole de tous les peuples soumis au régime de la force ».

3° — *De la Société des Nations :*

En 1922, la troisième Assemblée de la Société des Nations adopta, à l'unanimité, la résolution suivante :

« L'Assemblée de la Société des Nations, ayant considéré la situation de la Géorgie, invite le Conseil à suivre avec attention les évènements dans cette partie du monde, de manière à saisir les occasions qui pourraient se présenter d'aider, par les moyens pacifiques et conformes aux règles du droit international, au retour de ce pays à une situation normale ».

La cinquième Assemblée de la S.D.N., en 1924, confirma cette résolution, aussi à l'unanimité.

⁂

Le peuple géorgien se trouve toujours dans la même situation pénible ; cependant il continue la lutte pour la liberté nationale et pour ses institutions démocratiques — pour le rétablissement de la République Démocratique Géorgienne, libre et indépendante.

Au nom de ce Peuple qui, à travers le temps plusieurs fois millénaire, a su sauvegarder sa civilisation et sa propre individualité nationale et qui lutte avec acharnement pour le même but à présent, nous nous permettons d'attirer l'attention des peuples libres et leur Organisation mondiale à sa situation actuelle.

La Nation géorgienne est convaincue que l'Organisation des Nations Unies qui guide les efforts de l'humanité pour la paix mondiale, pour les « droits fondamentaux » de l'homme et des nations grandes et petites, pour maintenir « de la justice et du respect des obligations nées des « traités et autres sources

du droit international », saisira — comme recommandait autrefois la Société des Nations à son Conseil — toutes les occasions d'aider à rétablir en Géorgie ses droits inébranlables : son indépendance politique et sa souveraineté nationale.

Le Gouvernement National
de la Géorgie en Exil :

Le Président : N. JORDANIA

11, rue Solférino - Vanves (Seine).

Pour le Comité Exécutif du Conseil National
Géorgien : D. SXIRTLADZÉ

5, rue Cognacq-Jay - Paris 7·.

Paris, le 5 Novembre 1951.

---

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

### საქართველოს შესახებ

საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა 26 მაისს 1918 წელს. ქართველი ხალხის ეს გადაწყვეტილება დამტკიცებული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, რომელიც არჩეული იყო საქართველოს ყველა მოქალაქეთაგან, განურჩევლად ეროვნული წარმოშობისა, სოციალური მდგომარეობისა, სარწმუნოებისა, სქესისა და პოლიტიკური რწმენისა. მან მიიღო ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკის.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ერს ამ აქტით არ დაუწყია ახალი ნაციონალური ცხოვრება, მან ამით მხოლოდ აღადგინა თავის 2.000 წელზე მეტი ხნის დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში შეწყვეტილ იქნა იმპერატორული რუსეთისაგან. ამ უკანასკნელმა ცალმხრივი აქტით გააუქმა ხელშეკრულება დადებული 1783 წელს საქართველოსთან და მისი სრული ანექსია მოახდინა, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება და მრავალი აჯანყებები ქართველი ხალხის.

***

მოსკოვის ხელისუფლებამ იცნო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო თითქმის იმავე დროს, როცა ცნობილ იქნა დამოუკიდებლობა პოლონეთის, ფინლანდიის და ბალტიის რესპუბლიკების: ესტონეთის, ლატვიის და ლიტვის.

1920 წლის 7 მაისს დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულობით საბჭოთა რუსეთმა პირობა მისცა საქართველოს მისი დამოუკიდებლობის და საზღვრების ხელშეუხებლობის. ამავე დროს საქართველო ცნობილ იქნა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, („ალიების" უმაღლესი საბჭო), გერმანიის, ოსმალეთის, არგენტინის და სხვა სახელმწიფოთაგან. ამ სახელმწიფოთა უმრავლესობას და მათ შორის საბჭოთა რუსეთს სათანადო წარმომადგენლობა ჰყავდა საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს მათთან და ამ რიგათ ნორმალური ურთიერთობა იყო დამყარებული მათ შორის.

დიდი ომის შემდეგ დაწყებული ეროვნულ აღმშენებლობის ხანაში ბევრი დაბრკოლებები შეხვდა საქართველოს, რაც მან შესანიშნავი წარმატებით დასძლია. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ქონდა წერილობითი კონსტიტუცია, შემუშავებული დამფუძნებელი კრებისაგან; ამ კონსტიტუციით უზრუნველ ყოფილი იყო სრული პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის და მოქალაქის ყველა ის უფლებები, რაც წინეთ დიდი რევოლუციისაგან იყო აღიარებული და ჩვენს დროში ერთა კავშირისაგან არიან დადასტურებული.

ადგილობრივი ადმინისტრაცია სარგებლობდა ფართო ავტონომიით ადგილობრივ საქმეებში. ეროვნულ უმცირესობათ სრული უფლებრივი თანასწორობა ქონდათ კონსტიტუციით მინიჭებული პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში და საერთოდ ყველა მცხოვრებთათვის შექმნილი იყო პირობები სოციალური განვითარების და გზა გახსნილი ფართო სოციალური კანონმდებლობის შემოსაღებათ.

***

მიუხედავათ ამისა, 1921 წელს, ყოველგვარი დიპლომატიური მოლაპარაკების გარეშე, ომის გამოუცხადებლად, საბჭოთა რუსეთი შემოესია თავის ჯარებით და ექვსი კვირის სასტიკი ბრძოლების შემდეგ დაიპყრო იგი. (ეს იყო მეორე შემოსევა ერთი საუკუნის განმავლობაში).

საქართველოს ლეგალურმა მთავრობამ დასტოვა ქვეყანა თანახმად დამფუძნებელი კრების დადგენილებისა, რათა გან[illegible]ო საქართველოს

საქმის დაცვა უცხოეთში განათლებული კაცობრიობის წინაშე.

ეს შემოსევა საქართველოზე იყო პირველი საჯარო აქტი საბჭოთა ძალმომრეობისა, რომელსაც მოჰყვა ამ უკანასკნელ ხანებში ასეთივე ბედი პოლონეთის, ფინლიანდიის, ბალტიის სახელმწიფოების და ცენტრალური ევროპის.

***

დაიწყო ხელ-ახალი ბრძოლა თავისუფლებისათვის. ქართველი ხალხი არასოდეს დამორჩილებია შემოსეულთა ძალმომრეობას; ის წინააღმდეგობას უწევდა მას ჯერ საჯარო კრებებზე პროტესტებით, ქუჩაში დემონსტრაციების მოწყობით, გაფიცვებით და სხვა საშუალებებით, შემდეგ შეიარაღებული აჯანყებებით, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო აჯანყება 1924 წელს, აგვისტოში, რასაც მოჰყვა საშინელი ტერორი, სისხლის ღვრა და გადასახლება ათი-ათასობით ქართველი ხალხისა.

ამ ჟამათ საქართველო განიცდის რუსიფიკაციის ისეთ მოხერხებულ პოლიტიკას, როგორსაც ცარიზმის დროს, თვით უძლიერეს კოლონიზაციის ხანაშიაც არ მოსწრებია. ეს აშკარა და საჯარო აქტი პატარა საქართველოზე ძალმომრეობისა დაგმობილ იქნა მთელი განათლებული კაცობრიობის საზოგადოებრივი აზრის მიერ: საჯარო კრებებზე, ინტერნაციონალურ კონგრესებზე, პარლამენტის სხდომებზე, თავისუფალ პრესაში და სხ.

უამრავ რეზოლიუციებს შორის, რომელნიც საქართველოს დასაცველათ იქნენ გამოტანილი, ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ რამოდენიმეს, ყველაზე დამახასიათებელთ:

**1. მშვიდობიანობის მსოფლიო კონგრესისა**

მე-31-ე მსოფლიო კონგრესი მშვიდობიანობისა იღებს რა მხედველობაში, რომ ს.ს.რ.კ. მიღებულ იქნა ერთა ლიგაში იმ პირობით, რომელიც ლოკარნოს კონგრესზე იყო გათვალისწინებული; იღებს რა მხედველობაში, რომ ერთა ლიგა დაფუძნებულია განსაკუთრებით ერთა უფლებაზე თვით განაგოს თავის ბედი;

რომ ეს პრინციპი უძევს საფუძვლათ კონსტიტუციას ს.ს.რ. კავშირისა, რომელმაც 1920 წ. 7 მაისს, საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით იცნო ურეზერვოთ დამოუკიდებლობა და სუვერენობა საქართველოს სახელმწიფოსი;

იღებს რა მხედველობაში, რომ ამ ხელშეკრულების დარღვევას და ამ პრინციპის წინააღმდეგ აქვს დაკავებული დღეს საქართველო ს.ს.რ. კავშირს;

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მშვიდობიანობის დაცვა, რაც არსებითი მიზანია ერთა ლიგისა, შეიძლება მხოლოდ ხელშეკრულებათა და საერთაშორისო სამართლიანობის პატივისცემის დაცვით;

მოაგონებს რა თავის წინანდელ რეზოლიუციებს, დაბეჯითებით სთხოვს ერთა ლიგას მიიღოს სათანადო ზომები ხალხთა უფლების საწინააღმდეგო მდგომარეობისათვის ბოლოს მოსაღებათ და ამ მიზნით მოუწოდოს ს.ს.რ. კავშირს, რათა მან დაუბრუნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უფლებები, რომელიც მას აქვს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს“ (ივნისი 1936 წელი, კარდიფი—ინგლისში).

**2. სოციალისტური ინტერნაციონალის:**

თავის მანიფესტში, რომელიც 1924 წელს იყო გამოქვეყნებული, მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი ამბობს: „60 წელიწადია, რაც სიმბოლოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებისა ითვლებოდა მოთხოვნა პოლონეთის დამოუკიდებლობის. დღეს ჩვენ ინტერნაციონალი ამ პრინციპის თანახმად მოვითხოვთ უფლებას მიეცეს საქართველოს, — სიმბოლოს იძულებითი რეჟიმის ქვეშ მყოფ ხალხებისა, — თვითონ განაგოს თავის ბედი“.

**3. ერთა ლიგისაგან**

1922 წელს, ერთა ლიგის მესამე საერთო კრებაზე ერთხმოვნად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„ერთა ლიგის საერთო კრება, იღებს რა მხედველობაში საქართველოს მდგომარეობას, მოუწოდებს საბჭოს თვალ-ყური ადევნოს მსოფლიოს ამ ნაწილის ამბებს, რათა ხელი ჩასჭიდოს შესაფერ შემთხვევას, რომელიც კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისთვის, რომ მშვიდობიან და ინტერნაციონალურ უფლებებთან შეთანხმებულ საშვალებებით დაუბრუნოს ამ ქვეყანას ნორმალური მდგომარეობა“.

მეხუთე საერთო კრებამ ერთა ლიგისა 1924 წელს განმეორებით და ერთხმოვნათ დაადასტურა ეგევე რეზოლიუცია.

***

ქართველი ხალხი ახლაც იმავე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მაგრამ ის განაგრძობს ბრძ-

ძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიული დაწესებულებებისათვის, თავისუფალი და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის.

ამ ერის სახელით, რომელმაც ათეულ საუკუნეთა განმავლობაში შეინახა თავისი ცივილიზაცია, თავისი ეროვნული ინდივიდუალობა და დღესაც გააფთრებით იბრძვის იმავე მიზნებისათვის, ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს მივაქციოთ თავისუფალ ერთა და მათი მსოფლიო ორგანიზაციის ყურადღება მის დღევანდელ მდგომარეობაზე.

ქართველი ერი დარწმუნებულია, რომ ერთა კავშირის ორგანიზაცია, რომელიც უძღვის კაცობრიობის მისწრაფებებს მშვიდობიანობისადმი, იბრძვის ადამიანის და ყველა ერის, დიდისა და მცირეს „ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის, სამართლიანობისა და ხელშეკრულებათა თუ სხვა საერთაშორისო წყაროთაგან გამომდინარე ვალდებულებათა“ ასრულებისათვის, ხელიდან არ გაუშვებს, როგორც ერთა ლიგა ავალებდა თავის დროზე თავის საბჭოს — ხელსაყრელ შემთხვევას, რომელიც გამოადგება აღსადგენათ საქართველოს ურყევი უფლებისა: მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ეროვნული სუვერენობის.

საქართველოს ეროვნული
მთავრობა გადახვეწილობაში:
თავმჯდომარე — ნ. ჟორდანია

ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრ.
კომიტეტის მონდობილობით
**დ. სხირტლაძე**

## ადმირალ კერკის განცხადება

ამა წლის თებერვალში ადმირალ ალენ კერკი, ყოფილი ელჩი ამერიკის შეერთებული შტატებისა მოსკოვში, დანიშნულ იქნა რუსეთის ერთა განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ. აქვე ვათავსებთ მის განცხადებას ამ დანიშვნის გამო.

„საბჭოთა კავშირში ყოფნამ, ამბობს ის, დაადასტურა ჩემი წინანდელი რწმენა, რომ აუცილებელია მკაფიოთ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ამ ქვეყნის ერები და კომუნისტური მთავრობა. თუ სტალინის რეჟიმი ჩვენი მტერია, მისგან დამოკიდებული ერები საბჭოთა კავშირისა სამაგიეროთ ჩვენი მეგობრები არიან. მათ არაფერი აქვთ ჩვენთან სადაო და ჩვენ მათთან. იგინი არიან, უეჭველათ, პირველი და ყველაზე ძლიერათ დატანჯული მსხვერპლნი კომუნიზმისა.

მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ თავის დიდ უმრავლესობაში ისინი წინააღმდეგი არიან კრემლის რეჟიმისა, მათ ეზიზღებათ მისი **აგრესიული პოლიტიკა** და მოწადინებული არიან განთავისუფლდნენ ბოლშევიკების უღლიდან.

დიდი სიამოვნებით მივიღე ამერიკული კომიტეტის წინადადება მეკისრა მისი თავმჯდომარეობა. ვიღებ რა ჩემს თავზე ამერიკულ კომიტეტის ხელმძღვანელობას, უნდა განვაცხადო: დიდათ ვაფასებ იმ მოქნილ მუშაობას, რომელიც აქვს გაწეული ჩემს წინამოადგილეს ბ. ეჟენ ლაიონს; მე ვიღებ ამ მოვალეობას ღრმათ დარწმუნებული მის წარმატებაში, რადგან ვიცი რომ ბ. ლაიონსი რჩება მომქმედ წევრათ ამ კომიტეტისა.

განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ კომიტეტის მუშაობას ოკეანის იქითა მხარეზე შემდეგშიაც გაუძღვება ერთი გამოცდილი და უნიჭიერესი წევრთაგანი ამ კომიტეტისა ბ. ის. დონ-ლევინი, ვეტერანი ამერიკული ანტიკომუნისტური მოძრაობისა.

როგორც აღნიშნულია კომიტეტის მიერ ახლად გამოცემულ ბროშიურაში, კომიტეტს სურვილი აქვს ყოველ გვარი მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინოს სტალინის ტირანიისაგან გამოქცეულთ, რომელნიც ჩვენს შორის ცხოვრობენ, რათა მათ საშვალება მიეცეთ პრაქტიკული ანტისაბჭოური მოქმედების მოწყობისა. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ეს ლტოლვილები ამერიკული დახმარებით, ყოველგვარ საშვალებას მიიღებენ, რომ სიმართლე გადასცენ საბჭოთა კავშირში და გაერთიანონ ყველა თავისუფლების მოყვარე ერები, თავისუფალნი თუ დაჩაგრულნი, კრემლის წინააღმდეგ საბრძოლველათ“.

კომიტეტის განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია: „კომიტეტს განზრახვა აქვს დახმარება აღმოუჩინოს საბჭოთა ქვეყნების ლტოლვილთა პოლიტიკურ ცენტრს, როცა ის შედგება, გამოსაცემათ გაზეთების, ამ ხანათ კი უძლიერეს რადიო-სადგურების მოწყობის გეგმას ახორციელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბ. ის. დონ-ლევინის დეპეშა

### ადმირალ ბ. ალენ კერკს

ახალა, როცა თქვენ მიიღეთ თქვენს თავზე ხელმძღვანელობა რუსეთის ერთა განმათავისუფლებელ ამერიკულ კომიტეტის, მოძრაობა, რომელიც აერთებს ორ მილიონზე მეტ საბჭოთა კავშირიდან გამოხვეწილ ემიგრაციას, განთავისუფლებისათვის ბრძოლაში სულ მალე ცხადი მიღწევებით დაგვირგვინდება. გასული წლის განმავლობაში ამ მოძრაობამ ჩვენი კომიტეტის დახმარებით მოაწყო შტუტგარდში კონფერენცია, სადაც შეიკრიბნენ რამოდენიმე რუსული პოლიტიკური ორგანიზაციები; შემდეგ— ვისბადენის კონფერენცია, სადაც ეს ორგანიზაციები შეხვდნენ ექვს არა რუს ეროვნებათა წარმომადგენლებს და მათ ერთად გამოუშვეს დეკლარაცია მათი გაერთიანების.

ამის შემდეგ მთელ მსოფლიოში გაფანტულ უპარტიო ემიგრაციის მასებში სპონტანეურათ იფეთქა მოძრაობამ, რომელიც გავრცობის პროცესშია და ზურგს უმაგრებს ამერიკულ კომიტეტის წამოწყებას გაერთიანებული ფრონტის შექმნაში კომუნისტების აგრესიული იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ამ წამოწყების სათავეში ჩადგომით, თქვენ მთელ მსოფლიოს წინაშე ერთხელ კიდევ ამტკიცებთ ტრადიციულ მეგობრობას შეერთებულ შტატების და რუსეთის ერთა შორის. საბჭოთა ხელისუფლება ამ მეგობრობით შეძრწუნებული, შვიდი წელიწადია სულ იმის ცდაშია, რომ გასწყვიტოს მჭიდრო ურთიერთობა ჩვენსა და საბჭოთა კავშირის ერებსა შორის, რისთვისაც გაუგონარ ცილისწამების კომპანიას აწარმოებს წინააღმდეგ ამერიკისა და იმ თავისუფლების იდეალებისა, რომლის განსახიერებას იგი წარმოადგენს.

თქვენი მებაირახტობა ჩვენი კომიტეტისა დიდ გაქანებას მოუპოვებს ამ მოძრაობას კომუნისტებისაგან დევნილთა შორის, რომელნიც საბჭოთა კავშირის გარეთ არიან, ხოლო საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ დაჩაგრულ ერებს იმედით აავსებთ მათი სამშობლო ქვეყნების ახლო მომავალში განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ ჩემი პირადი უღრმესი კმაყოფილება გამოვსთქვა ამ დიდ საქმეში თქვენი ჩადგომის გამო თავისუფლების დასაცავად.

---

## ადმირალ კერკი და ამერიკული პრესა

ადმირალ კერკის დანიშვნამ, რომლის სიტყვა ჩვენს გაზეთშია მოთავსებული, დიდი გამოხმაურება გამოიწვია ამერიკულ პრესაში. უდიდესი და ყველაზე გავრცელებული გაზეთები ფართო კომენტარიებს უძღვნიან მის თავმჯდომარეობას ამერიკულ კომიტეტში, რაც მათი აზრით, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მეტყველია.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ აზრებს ყველაზე გავრცელებული და უდიდესი გავლენის მქონე გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმს“-იდან, რომელმაც ორი დიდი წერილი უძღვნა ამ საკითხს.

პირველი: ხაზგასმით აღნიშნულია, საგულისხმიერო ადგილი ადმირალ კერკის განცხადებიდან, სადაც უკანასკნელი გადაჭრით აღიარებს, რომ „ჩვენი მტერია — სტალინის რეჟიმი, ხოლო საბჭოთა კავშირის ერები, მისგან მონებათ ქცეულნი — ჩვენი მეგობრები არიან“-ო და ამით სოლიდარობას უცხადებს უკანასკნელთ;

მეორე: მნიშვნელოვანია ის, რომ ადმ. კერკი პირადათ იყო რუსეთში, ელჩის პოსტზე და საკუთარი დაკვირვებით დარწმუნდა, რომ საბჭოთა ერებს თავის ინტერესების მიხედვით, სრულიად არაფერი აქვთ საერთო კრემლის თავაშვებულ იმპერიალისტურ ექსპანსიასთან, რომ მათი ხვედრია ამ საქმეში მხოლოდ შრომა, ოფლის ღვრა, გაჭირვება და შიმშილი და რომ ამ იძულებითი მსხვერპლით იკვებება აგრესიული ექსპანსიურობა სტალინის პოლიტიკის.

მესამე: გაზეთი დიდი თანაგრძნობით ეკიდება ამერიკულ კომიტეტის არსებობას, რომელიც შეერთებულ შტატების ცნობილი მოქალაქეთაგან შესდგება და მისი მიზანია ნივთიერი და მორალური დახმარებით ხელი შეუწყოს გადმოხვეწილთა შორის სტალინის რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედების გაძლიერებას.

ჩვენ აქ ვერ გავიმეორებთ იმას, რასაც გაზეთი აღნიშნავს საკმაო სისწორით და ობიექტივობით, წინანდელ თათბირების შესახებ, აგრეთვე იმ

დავის და შინაგანი განხეთქილების გამოტანას პრესაში, რომელმაც ამ ბოლო დროს იჩინა თავი.

ადმირალ კერკის ხელმძღვანელობა, ფიქრობს გაზეთი, ამ მხრივაც დიდ სარგებლობას მოიტანს; თვით ემიგრანტთა ერთი ლიდერის განცხადებით ადმ. კერკის დანიშვნა მოასწავებს შეერთებული შტატების გადაჭრილ სურვილს, მიღწეულ იქნეს ემიგრანტთა გაერთიანება. ყველა დაჯგუფებამ უნდა იგრძნოს ამის შემდეგ რა დიდი პასუხისმგებლობა დააწვება მას ემიგრაციის მთლიან მუშაობისაგან ჩამოცილებით...

გაზეთი განაგრძობს: აღსანიშნავია რომ რუს ემიგრაციაში შედგა უპარტიოთა დაჯგუფება, რომელიც მოუწოდებს ყველა ამერიკისა და ევროპაში გაფანტულ ემიგრანტებს, დაივიწყონ პარტიული დავა და შუღლი და მთელი თავის ენერგიით შეუდგენ გაერთიანებული ძალებით იმ დიდი ტანჯვის შესამსუბუქებელ ბრძოლას, რომელსაც განიცდის ფარდის იქით მოქცეული ჩვენი ძმები.

ყველაზე საინტერესოთ და საყურადღებოთ კი უნდა ჩაითვალოს ის სამართლიანი მოპყრობა, რომელსაც ადმირალი კერკი იჩენს ყველა ერებისადმი, რომელნიც განთავისუფლებას მოელიან.

მისი ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი არის ამ საერთო ბრძოლაში ჩაბმა უკრაინელების, ბელორუსების, კავკასიის ერების და სხვების, ე. ი. იმათი ვინც ორმაგ დაჩაგვრას განიცდიან საბჭოთა კავშირში. ადმირალ კერკის პიროვნება — გარანტიაა იმის, რომ არავითარი განკერძოებული ველიკორუსული ინტერესების დაცვა არ იქნება წინა რიგში წამოყენებული სხვა ერთა ინტერესების საზიანოთ და რომ სრული სამართლიანობა დაცული იქნება, — სახელმძღვანელო პრინციპი ამერიკის კომიტეტისა, შეცდება, ვინც ადმირალ კერკს დასწამებს მიკერძოებას.

ფართო და სწორი ინფორმაცია, რომელიც მას მოეპოვება, პრესტიჟი გუშინდელი ელჩისა ს.ს.რ. კავშირში, დიდი გამოცდილება და მისი პირადი თვისებები თავდებია იმის, რომ ის შესძლებს გადალახოს ყველა დაბრკოლება, რაც აქამდე ელობებოდა წინ გაერთიანებას: განელება უნდობლობის, შური დიდსა და მცირე ერებს შორის, სწორი დაცვა მცირე ერთა კანონიერი უფლებების — აი გზა სამართლიანობის.

ყველა ვინც მეტრფის მშვიდობიანობას ადამიანთა შორის, ვისაც გული შეტკივა საბჭოთა მიერ დაჩაგრული ერთა განთავისუფლებისათვის, სიხარულით და იმედით შეეგებება მის თავმჯდომარეობას.

## დეპეშა ბ. ე. ლაიონსისა

აქვე ზედმეტი არ იქნება გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს თუმცა დაგვიანებით, იმ დეპეშის შინაარსი, რომელიც გაუგზავნა ამერიკული კომიტეტის სახელით ბ. ე. ლაიონსმა ვისბადენის მონაწილეებს გასული წლის 30 ოქტომბერს, მით უმეტეს, რომ ქართულ საზოგადოებაში მის შესახებ გავრცელებულია ყალბი შეხედულება მისი ბ. ახესონთან შეკამათებით გამოწვეული. ამ დეპეშიდან მკითხველი დაინახავს, რამდენად სამართლიანია ბ. ლაიონსი ეროვნებათა საკითხის გადაჭრაში.

**ვისბადენის კონფერენციის ყველა მონაწილეებს:**

„ამერიკული კომიტეტმა მომანდო მე გადმოგცეთ მისი გულითადი მილოცვა და საუკეთესო სურვილები წარმატებისა". შემდეგ გამოსთქვამს რა რწმენას, რომ კონფერენციის წევრები ისტორიული პასუხისმგებლობის გრძნობას თავიანთ დატანჯულ და შევიწროებულ მშობელ ერთა წინაშე ყველა სხვა მოსაზრებაზე მაღლა დააყენებენ, იგი განაგრძობს: „დემოკრატიული ელემენტები რუსის და არა რუს ემიგრაციის, რომელთაც აქვთ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებანი, უნდა გაერთიანდენ **აბსოლიუტური თანასწორობისა** (ხაზი ყველგან ჩვენია) და ერთი-ერთის პატივისცემის საფუძველზე კრემლის დესპოტიის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვის. ასეთი გაერთიანებული ფრონტის შექმნა ძალიან ცუდი ახალი ამბავი იქნება პოლიტ-ბიუროსათვის და ძალიან სასიხარულო მთელი თავისუფალი ქვეყნიერებისათვის. გარდა ამისა ეს გაერთიანება განთავისუფლების იმედებს გაუღვიძებს ბოლშევიკური ტირანიის ყველა მსხვერპლთ, ხოლო მათ განთავისუფლებას მოჰყვება **უფლება და შესაძლებლობა** თავის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მოწყობისა თანახმად თავისუფლად გამოხატულ ნებისყოფისა. კომიტეტს განსაკუთრებული სურვილი აქვს დაგარწმუნოთ, რომ ის საქმეებით დაუჭერს მხარს თქვენს საერთო ძალით მოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

მთელი ჩემი უკვე ხანგრძლივი სიცოცხლე რუსთა და საქართველოში მათი ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში დავლიე. არავითარი საბუთი რუსებისადმი სიმპატიებისა არასოდეს მქონია და არც ახალი მაქვს. რუსი სული სხვა მოვლენა იყო და არის ისტორიულად, კულტურულად და, თუ გნებავთ, სარწმუნოებრივადაც, მიუხედავად საერთო რიტისა, — და ქართველი სხვა.

ეს — ეროვნულ გრძნობების დარგიდგან.

პოლიტიკა? რუსეთმა ორჯერ გვიღალატა ვერაგულად: ჯერ მეფური სიტყვა გასტეხა და შემდეგ კომუნისტური. ეს ორი უკიდურესი ფერითაა მისი ბუნებისა. მათ შუა, რუსის ლიბერალებმა, რადიკალებმა და რევოლუციონერებმაც მოგვატყუეს; როდესაც მათ რევოლუციას ჩვენი ძალები სჭირდებოდა, ყოველ გვარ თავისუფლებებს გვპირდებოდნენ და ჩვენც ამ რევოლუციის სამსხვერპლოზედ ლაღად დავღვარეთ ჩვენი სისხლი. გამარჯვების შემდგომ, მილიუკოვი, კერენსკი, ჩერნოვი e tutti qnanti კიდეცა გვემუქრებოდნენ, თუ გავბედავდით და ჩვენს უფლებებს განვახორციელებდით.

ყოველი ეს კარგად ვიცოდი და დღესაც ვიცი. ხოლო, ერთია ეროვნული გრძნობის ღელვა, სხვაა ეროვნული პოლიტიკის წარმოება. სამწუხაროდ ჩვენ, ქართველები (და არა მარტო ჩვენ) ხშირად ვერ ვარჩევთ ერთი-ერთისაგან ეროვნულ პოლიტიკას, რომელსაც ყოველდღიურ მოვლენებთან უნდა ჰქონდეს საქმე, და სიმპატიებით თუ არა სიმპატიებით ვერ იხელმძღვანელებს, იმ ვიწრო პარტიზანულ პოლიტიკისაგან, რომელიც ჯგუფური ინტერესებისაგან გამომდინარეობს და უმთავრესს ივიწყებს.

ქართველმა იმდენი დამცირება და ტანჯვა განიცადა რუსთაგან, რომ ყოველი ცდა მათთან შეთანხმებისა ქართველთა შორის საშინლად არაპოპულარულია. ხოლო საკითხის არა პოპულარობა ეროვნული პოლიტიკის გეზის მაჩვენებელი ვერ იქნება. სხვანაირად — ფრანგი გერმანელს ვერ გამოელაპარაკებოდა და გერმანელი ფრანგს. დღეს კი ეს ორი ერი ცდილობენ გამონახონ ბაზა საერთო ბრძოლისა საერთო მტრის წინააღმდეგ.

ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ისეთს განსაცდელში, როგორშიდაც იგი დღეს არის. თუ გვსურს რაიმე დახმარება აღმოუჩინოთ, უნდა ერთსულოვნად და დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ.

და აი, ქართველთა ემიგრაციაში ეროვნული საბჭოს შექმნის იდეა წარმოიშვა. სავსებით გავიზიარე ეს შვენიერი აზრი, რადგან იგი მიმაჩნდა ერთად-ერთ საშუალებად ქართველთა გაერთიანებისა, რაც აუცილებელია საგარეო პოლიტიკის ნაყოფიერად წარმოებისათვის. ამ საბჭოს ბევრი მტერი აღმოუჩნდა. ხოლო ღრმად მწამს რომ, შენელდება რა პირველი „შოკი“, ცნებათა ღელვა ადგილს დაუთმობს უფრო საღს, უფრო დამშვიდებულ მსჯელობას და სწორედ გაგებულ ეროვნულ პოლიტიკას.

შეიქმნა საბჭო. სამწუხაროდ ჯერ კიდევ არა უნაკლო. საბჭომ თავის აღმასრულებელ კომიტეტს მისცა ნათლად აღნიშნული „დირექტივა“.

საბჭოსი და ამიტომ მისი კომიტეტის არსებობის აზრი და მიზანი ერთად-ერთია: საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოს განთავისუფლება უცხო „ოკუპანტი“-საგან.

აღმასრულებელი კომიტეტის მოვალეობა იყო და არის თვითონ გამონახოს გეზი და საშუალებანი ამ ნათელი მიზნის განსახორციელებლად.

ცხადზედ უცხადესია: თუ საბჭოთა იმპერია არ დაიმსხვრა საქართველო ვერ განთავისუფლდება, და ვერც სხვა ერი. ეჭვის გარეშეა, დაცდაც კი განსაცდელით სავსე: ჩვენ მარტო ჩვენი ძალებით ვერას მივაღწევთ.

კაცობრიობა ორ ბანაკად არის გახეთქილი. ერთი ბანაკის უდავო ხელმძღვანელია შეერთებული შტატების ერი; მეორისა — საბჭოთა რუსეთის იმპერია. ორივე მხარე ყველა მისთვის მისაწდომ ძალებს ბრძოლისათვის რაზმავს. ვუახლოვდებით გადამწყვეტ წუთს: ომით თუ უომოდ ერთმა ბანაკმა მეორეს მიერ ნაკარნახევი **modus vivendi** უნდა მიიღოს; ერთი მეორეს

---

„დარწმუნებული ვარ, მთელი კაცობრიობის თავისუფლება მანამდე იქნება საშიშროების ქვეშ, სანამ დაჩაგრული იქნებიან თქვენი სამშობლოს ერები. ისინი უნდა განთავისუფლებულ იქნენ და შევიდნენ დიდ ოჯახში თავისუფალ და **თანასწორ უფლებიან ერებისა**. ამ მაღალ მიზნის მიღწევას ჩვენ ყველამ, რუსებმა, არა რუსებმა და ამერიკელებმა უნდა ვემსახუროთ მთელი გულით და მთელი ჩვენი ენერგიით“.

**ჟ. ლაიონსი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაემორჩილოს: სუსტი ძლიერს. სხვა გამოსავალი არსაიდგან მოსჩანს. აღმასრულებელ კომიტეტისათვის ცხადია; თუ რომელ ბანაკში შეუძლიან ქართველთა ეროვნულ პოლიტიკას დასაყრდნობი ნიადაგი მოიპოვის.

შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტეს სხვა ძალთა შორის დუალიზმის აგრეთვე საბჭოთა იმპერიაში ყველა არსებულ ერთა ძალები. და, რასაკვირველია რუსიც, ამერიკელთა წარმოდგენით, უდიდესი ძალა ჩაგრულ ერთა შორის. ვფიქრობ სცდებიან, ხოლო ამის შესახებ კიდევ გვექნება საუბარი.

თუ ჩვენ გვსურს ვიყვეთ იმ ბანაკში, რომელსაც ძალუძს ქართველი ერის მტრის იმპერია დაამსხვრიოს, მის სურვილებს ანგარიში უნდა გაეუწიოთ. რუსთან შეთანხმების სურვილი მეტად არა პოპულარულია, როგორც ეს უკვე აღვნიშნე, ქართველთა შორის, ხოლო ცდა კი, ამ შეთანხმების გამონახვისა — აუცილებელი თუ გვსურს ჩვენი საკითხის სასარგებლოდ ამერიკელთა სიმპატიები მოვიპოვოთ. აღმასრულებელი კომიტეტი არ შეუშინდა ამ არა პოპულარული ნაბიჯის გადადგმას და პასუხის მგებლობა — იკისრა. ამერიკელთა კომიტეტმა გვთხოვა ვისბადენში ჩვენი დელეგაცია წარგვეგზავნა. თხოვნა შევუსრულეთ. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კარგად ვხედავდით ამ კომიტეტის პრო-რუსულ მიდრეკილებას, ტენდენცია ბუნებრივი იყო, დასაწყისში მაინც. ამერიკელთა კომიტეტი ჩვენთვის სასურველი სინათლით ვერ ერკვეოდა საბჭოთა რუსეთის შიგნით დამონავებულ ეროვნებათა საკითხში. საჭირო იყო პრაქტიკით გასცნობოდა. ჩვენ რომ განზედ გავდგომილიყავით, ამერიკელები, ამ საკითხის შესახებ, მარტო რუსებისაგან მიიღებდენ ცნობებს და მათი პრორუსულობა უფრო გაღრმავდებოდა, რაცგან პასუხის მგებლობა შეთანხმების ცდის უარყოფისა ჩვენ დაგვაწვებოდა. შემდეგში, ამერიკელებისაკენ გზის გამონახვა დიდად გაგვიძნელდებოდა და მოქმედებისათვის ასპარეზს დავკარგავდით.

ჩვენმა ამ გაბედულმა ნაბიჯმა ჩვენთვის სასურველი ნაყოფი გამოიღო. არა მხოლოდ ნეგატიური, როგორც იყო რუსთა ხუთი ორგანიზაციის შტუტგარდის შეთანხმების დაშლა, არამედ ზეპირი დადებითიც, რომელნიც თანდათან იზრდებიან და იმედი გვაქვს უფრო და უფრო ფართო ფარგლებში ჩამოყალიბდებიან.

ვისბადენის ყრილობის შემდგომ, ამერიკელთა კომიტეტის წიაღში დიდი ცვლილება მოხდა. მის წევრს, ენერგიულს და ნიჭიერ მოღვაწეს, დონ-ლევინს, ჩვენი მონაწილეობით საშუალება მიეცა ახლო გაეცნო რუსნი და არა რუსნი და მათი ურთიერთსადმო განწყობილებანი. მისმა დასაბუთებულმა მოხსენებებმა გამოიწვიეს ჩვენთვის სასარგებლო ცვლილებანი.

ამერიკელთა კომიტეტს, ამ ბოლო დრომდე, თავმჯდომარეობდა ცნობილი ჟურნალისტი და მოღვაწე ბ-ნი ლაიონსი. მისი ტენდენცია იყო ეროვნებათა საკითხი რუსეთის შინაგან საკითხად აღეარებინა, თუმცა ამბობდა: ჩვენ რჩევას მივცემთ ეროვნებათა უფლებანი დაცულ იქმნენო. ხოლო, ვისბადენში გადაიშალა რა რუსთა იმპერიალისტური მიდრეკილებანი და ჩვენი სურვილი ლოიალური შეთანხმებისა ჩვენთვის მისაღებ ბაზაზედ, ამერიკელთა კომიტეტის პრორუსული ტენდენცია ჩვენთვის სასარგებლო პოლიტიკამ შესცვალა. ამ კომიტეტს მიუჩინეს ახალი თავმჯდომარე, ადმირალი კერკი, ყოფილი ელჩი რუსეთში და ეროვნებათა საკითხის უკეთესი მცოდნე, ბატონი ლაიონსი კი განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას, რაც ცხადჰყოფს რომ თვითონაც დიდი ევოლიუცია განიცადა და ახალ პოლიტიკას გულწრფელად ეზიარა.

აი რასა სწერს ერთი რუსული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმს“-ში მოთავსებულ წერილების შესახებ: „ადმირალ კერკის ერთი უმთავრეს აღმოცანათაგანია უკრაინელებისა, ბელორუსებისა, კავკასიელებისა და სხვა ერთა წარმომადგენლები საერთო საქმიანობისათვის მიიმხროს. ადმ. კერკის პრესტიჟმა უნდა დაარწმუნოს ეს ერები, რომ ამერ. კომიტეტი უპირატესობას არ **აძლევს ველიკორუსების ინტერესებს სხვა ერთა ინტერესების წინააღმდეგ,** რასაც მას (კომიტეტს) აქამდის უსაყვედურებდენ“.

აღსანიშნავია აგრეთვე ბ-ნი ლაიონსის დეპეშა ვისბადენის ყრილობის მონაწილეთა მიმართ, რათა უფრო ნათლად დავინახოთ ამერიკ. კომიტეტის გეზის შეცვლა:

„... დემოკრატიული ელემენტები რუსთა და არა-რუსთა ემიგრაციებისა... უნდა გაერთიანდენ **აბსოლუტური თანასწორობის...** საფუძვლებზედ... (ერები) უნდა განთავისუფლდენ და შევიდენ თავისუფალ და თანასწორ უფლებიან ერების ოჯახში. ამ დიდ მიზანს ჩვენ: რუსები, არა-რუსები და ამერიკელები უნდა ვემსახუროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიის ერთობისათვის

კავკასია გეოგრაფიულ და სტრატეგიულ ერთეულს წარმოადგენს, რამოდენიმეთ ეკონომიურსაც. ამაზე იყო აშენებული ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვადასხვა მოდგმის და სარწმუნოების ერთა, ტომთა და ნათესავთა საერთო ისტორიული ბედი თუ უბედობა. მისი მცხოვრებნი ხშირათ ერთმანეთს ებრძოდენ, თავს ესხმოდენ, არბევდენ: ეს იყო შინაური დავა ფეოდალური და გვაროვნული წყობილების ნიადაგზე აღმოცენებული და ამ წყობილების არსებით თვისებებთან დაკავშირებული. მაგრამ ერთობის გრძნობა თვით ამ ბრძოლის და წინააღმდეგობის შიგნითაც იხატებოდა: იარაღით წყვეტდენ ორიენტაციის განსხვავებას და საერთო ბედში ჩადგომას, რადგან იარაღი იყო მაშინ საბოლოო არგუმენტი ყოველი დავის შინაურობაშიაც ისე, როგორც გარეთ. როცა ეს ეკონომიური საფუძველი შეირყა, ისტორიულ ბედისწერამ ყველა კავკასიის ერები და ხალხები თავის შინაგან განვითარების გზას მოსწყვიტა და ყველანი ერთად ახალ, უცნობ და ძნელათ შესაგუებელ ბიუროკრატიულ რუსეთის საერთო ტაფაში მოამწყვდია. შინაგანი დავა მიჩუმდა, გაქრა, ხოლო ერთობის გრძნობამ თავი წამოყო; ძველი ჭრილობები მოშუშდა, ხოლო ახალი საერთო ტკივილები, გარეშე ძალის ბატონობით გამოწვეული, საერთო ფსიქოლოგიურ გაერთიანების სასარგებლოთ ამუშავდა. აქედან იწყება სოლიდარობის იდეის წინ წამოწევა და თანდათან გაძლიერება, მიუხედავათ მეფის მოხელეთა საწინააღმდეგო მუშაობისა. შეიძლება ითქვას — მეცხრამეტე საუკუნე იყო ხანა ძველ, ძმათა ბრძოლით მოყენებულ ჭრილობებიდან განმთელების და ახალი მეგობრული, ძმური კავშირის იდეის ზრდის. მე-20 საუკუნემ, თავისი რევოლიუციებით, თავისუფლებით, ეკონომიურ და სოციალურ გადატრიალებით, ძველის სრული ლიკვიდაცია მოახდინა; კიდევ მეტი, ახალ დამოუკიდებელ ცხოვრებას დაუდვა საფუძველი: რევოლიუციით თავისუფლება-ნაზიარები კავკასიის ერები — აცხადებენ თავის დამოუკიდებლობას და ერთმანეთთან სოლიდარობას

პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზმი იყო ამიერ-კავკასიის კონფედერაცია, სამი მთავარი ერის: სომხების, აზერბაიჯანელების და ქართველებისა, საერთო სეიმით თფილისში.

ვერ დავმალავთ, ამ პირველმა ცდამ არ მოგვიტანა ის შედეგები, რომელსაც მოველოდით. ახალი პირობები, უეცრათ თავზე დატეხილი მოვლენათა გამალებული ქროლვით ვერ იქნა ისე სწრაფათ გაგებული, როგორც საჭიროება მოითხოვდა. მეცხრამეტე საუკუნეში მეფის მთავრობის პროვოკაციულმა მუშაობამ — „გაჰყავი და იბატონე"-ს პოლიტიკამ — სომეხ-მუსლიმანთა ერთმანეთზე გადაკიდებამ და მათ შორის სამოქალაქო ომის გამოწვევამ, რასაც ოსმალეთ-სომხეთა ურთიერთობამაც შეუწყო ხელი, — თავისუფლების დღეებშიაც შეუძლებელი გახადა სისხლის შემდეგ ძმური ხელის ნდობით გაწოდება ერთმანეთისათვის. კარგათ ვიცით, რომ ამ კონფედერაციის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში არ მოხერხდა სეიმის საკონსტიტუციო კომისიაში თვით კონსტიტუციის პირველ მუხლზე შეთანხმების მიღწევა: კონფედერაციის ცენტრალურ მთავრობის უფლებათა განსაზღვრა; ზოგი მეტ რეალურ უფლებებს თხოულობდა, ზოგი მის უბრალო შემათანხმებელ თათბირამდე დაყვანას. ხოლო საგარეო საკითხში — ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოების დროს, — ხომ ძირითადი წინააღმდეგობა აღმოჩნდა ორიენტაციის, მისწრაფებების და მოთხოვნების: ერთობა დაირღვა. სამივე ერმა ცალ-ცალკე დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

---

სხვა კიდევ ბევრი სიმპტომია ჩვენთვის სასურველი ცვლილებებისა.

ამ რიგად ცხადია: აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი მცდარი არ იყო. ჩვენ რომ საკითხის არა პოპულარობას შევეშინებინეთ, ამერიკელთა თვალში რუსები იქნებოდენ მართალნი: რუსებსა ჰსურთ ბოლშევიკების წინააღმდეგ ძალთა დარაზმვა, სხვა ერებს კი არაო. ამერიკის კომიტეტი განაგრძობდა რუსეთთან თანამშრომლობას «tête à tête» და როგორც მის ცენტრში, აგრეთვე პრესაში და სამინისტროებში დაგროვდებოდა მასალა რუსთა სასარგებლოდ და ჩვენ საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ამერიკის კომიტეტის საშუალებით შეგვიძლიან ვიმოქმედოთ პრესაზედ, რომელიც ჰქმნის საზოგადოებრივ აზრს და საზოგადოებრივი აზრი კი ერთი იმ უმთავრეს ფაქტორთაგანია, რომელნიც მთავრობის პოლიტიკასა ჰქმნიან.

გიორგი კერესელიძე

მაგრამ ცალკე ყოფნაც არავის აკმაყოფილებდა. ამიტომ, თუმცა მძიმეთ და ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც უნდა დაწყებულიყო ისევ პროცესი დაახლოვების და გაერთიანების იდეის სასარგებლოთ, რაც ქართველმა ერმა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საჯაროთ გამოაცხადა, როგორც თავის მახლობელ განსახორციელებელ მიზნათ დასახული.

არ დასცალდათ კავკასიის ერებს ნორმალური განვითარების პირობებში ცხოვრება: ჩრდილოეთიდგან შემოჭრილმა კომუნისტურმა ტალღებმა წაშალეს კავკასიის საზღვრები...

კავკასიის ერთა პასუხისმგებელი პოლიტიკური მოღვაწეებმა ემიგრაციის თავისუფალ ქვეყნებში იპოვეს თავშესაფარი. იქ ჩასახულ და განძრახულ იდეებს, აქ, უცხოეთში, დაუპირეს განხორციელება თუ არა, წინ წაწევა მაინც, განხორციელებისაკენ.

მაგრამ ამ გაერთიანების იდეას აქაც გამოყვა იგივე ნაკლი და იგივე დაბრკოლებები, რაც საკუთარ მიწა-წყალზე ახასიათებდა. მიუხედავათ ამისა, მაინც შედარებით, სერიოზულ მიღწევებს ჰქონდა ადგილი.

განთავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, რომელშიაც პოლიტიკური ემიგრაცია ჩაება, კავკასიის მთლიანობის იდეა წარმოსდგა, როგორც ერთგვარათ ხელშემწყობი ფაქტორი განათლებულ ქვეყნების ყურადღების მისაპყრობათ კავკასიის ჩაგრულ ერებისადმი. ის გახდა საშვალება პოლიტიკური პროპაგანდის და აგიტაციის უცხოეთში: მოეწყო საერთო გამოსვლები კავკასიის ოთხივე რესპუბლიკის სახელით, საერთო მიმართვები, საერთო შემოთავაზებები; ბოლოს 1934 წელს შემუშავებულ იქნა კავკასიის კონფედერაციის პაქტი, რომელზედაც, ყველა რესპუბლიკების ხელის მოწერა არ იქნა, სამწუხაროთ, მიღწეული. მაშასადამე ის არ იყო სრული და რამდენათაც ვიცით, არც შემდეგში მოეპოვებია საჭირო სისრულე. იგი დარჩა მხოლოდ პროექტათ, კონკრეტიულ ფორმაში ჩამოსხმულ იდეათ, რომლის რეალური განხორციელება მომავალში უნდა ეკითხოს თვით ერებს მათი განთავისუფლების შემდეგ და გადაწყდეს მათი სუვერენული ნებისყოფის დემოკრატიული გამოხატულებით. თავის დროზე ამ უსრული ფორმითაც ქონდა მას მნიშვნელობა და იყო იმედი მისი სრულყოფის.

მაგრამ დრო და ჟამთა მსვლელობამ სულ სხვაგვარათ ინება.

მეორე მსოფლიო ომმა, რომელმაც მთელ ქვეყნიერებაზე შესცვალა ძირითადი საერთაშორისო პირობები ბრძოლისა და ურთიერთობის, ამ პაქტის პირვანდელ აზრსა და მნიშვნელობას გამოაცალა თავისი ნამდვილი ნიადაგი. დაჩაგრულ ერთა საკითხი გასცილდა კავკასიის ფარგლებს, გასცილდა საბჭოთა რუსეთის ფარგლებსაც, იგი გახდა მსოფლიო პრობლემათ, გადაება საკითხს საერთაშორისო მშვიდობიანობისა და კაცობრიობის თავისუფლებაში წინმსვლელობისას. აქედან იბადება ახალი მდგომარეობა კავკასიის ერთა სოლიდარობის საკითხისადმი. დღეს ლოკალური მოძრაობის ფარგლები უნდა გაფართოვდეს მსოფლიო მოძრაობის ფარგლებამდე. პირველ რიგში დგება ეს უკანასკნელი. არც საქართველო ცალკე, არც კავკასიის ერები ერთად, არ იწვევს თავისთავად,, მარტო მათი ძალების მიხედვით, განსაკუთრებულ ყურადღებას. ისინი მისაღები არიან და ზრუნვის საგანი, რამდენათაც ჩაქსოვილი იქნებიან საერთო ბრძოლის პროცესში, რომელსაც დღეს უძლიერესი სახელმწიფონი მეთაურობენ. ამით ჩვენს წინაშე ისახება ახალი პრობლემა: კავკასიის ერთა სოლიდარობის იდეა შევიყვანოთ ამ საერთო ფარგლებში, გადავაბათ ამ საერთო მოძრაობას,

პირველ რიგში დგება პოლიტიკური ხაზი და გეზი საბჭოთა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ თ ა ნ ბრძოლის. დღეს ძირითადი ლოზუნგია ერთა თვითგამორკვევის განხორციელებისათვის შესაფერი პირობების შექმნა. ეს გულისხმობს — დიქტატორული წყობილების გაუქმებას და დემოკრატიულის შემოღებას, იმპერიალისტურ მისწრაფებებისათვის ფრთების შეკვეცას,, მის გაცლიდებას, ერთი ერისაგან მეორის იარაღით დამორჩილების ძირიანად ამოშლას და ასე თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირისათვის ნიადაგის მომზადებას. თვით ასეთი კავშირებიც დღეს უფრო ფართო მაშტაბით იგულისხმება, ეკონომიური უნივერსალიზმი და მიმოსვლის განვითარება მინიმუმამდე ამცირებს წინანდელ მის სტრატეგიულ - გეოგრაფიულ მნიშვნელობას. დიახ, ჟამთა ვითარებამ გადალახა ის პირობებიც, რომელიც ამ ფარგლებში გაერთიანებას აძლევდა განსაკუთრებულ ღირებულებას. ახლა იგი მხოლოდ პატარა საფეხურათ თუ შეიძლება გამოდგეს ერთა საერთო სოლიდარობის დიდ

# დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი საკითხი

შეიძლება ითქვას, ყოველი პროპორციის დაცვით, დროისა და პირობების მიხედვით, რომ არასოდეს ადამიანი არ ყოფილა ისეთი განცდებით მოცული, როგორც დღეს: მატერიალურად, მორალურად, ფიზიკურად, ფსიხოლოგიურად — წონა-სწორობა მის მოქმედებაში, აზროვნებაში და საერთოდ მის არსებაში დარღვეულია, მისი სიცოცხლე საშიშროებაშია; ეს საერთო მოვლენაა მთელ მსოფლიოში, ყველა ხსნას ეძებს, ყველას თავში ერთი სიტყვა უტრიალებს **ომი** — ეს უდიდესი უბედურება კაცობრიობის... მსოფლიოს ისტორიაში თუნდაც ზერელე ექსკურსია დაგვანახვებთ, რომ ომი წესი იყო, ხოლო ზავი გამონაკლისი. ომს მრავალი მიზეზები ქონდა, რომელთა აღნუსხვას აქ არ შევუდგებით. დღეს კაცობრიობის დიდი ნაწილი მაინც ფიქრობს ამ საშინელებისაგან თავის დახსნას, ომიანობის როგორც საზოგადოებრივ ბრძოლის საშუალების გაუქმებას, რადგან იგი გამანადგურებელი შეიქნა ორივე მხარისათვის, განურჩევლად გამარჯვებისა თუ დამარცხებისა, მაგრამ ეს შორეული ამბავია და როდის დადგება ისეთი ბედნიერი დრო, რომ ომი ადამიანის ლექსიკონიდან ამოიშალოს. ამის წინასწარ გათვალისწინება მეტად ძნელია. ჩვენ აქ მხოლოდ დღევანდელ, მახლობელ, უშუალო მომავალზე გვაქვს საუბარი. ხოლო დღევანდელი სინამდვილე კი მწარედ გვირტყამს თავში და ყველა იმაზე ფიქრობს, თუ რით ავიცილოთ თავიდან ის საშინელი შედეგი, რომელიც ატეხილ სოციალური უთანხმოებათა მშვიდობიანი გზით მოუწესრიგებლობას უნდა მოჰყვეს. დღეს, არა თუ ერთი რომელიმე ქვეყნის, არამედ მთელი კაცობრიობის ბედი, როგორც იტყვიან, ბეწვზე ჰკიდია.

მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი მოდის ვითომ ახალი აზრით, ცხოვრების ახალი შინაარსით და ფორმებით — მაგრამ მოდის გაყინული გულით და შეუბრალებელი სისასტიკით; ადამიანის პიროვნების გაქელვით და ერთა დამონებით, დიქტატურით და ტერორით. ყოველივე ამას ის სოციალურ რევოლუციას ეძახის და ცდილობს ყველაფერი ეს მარქსიზმად გაასაღოს. მეორე მაგრად დგას თავის ნორმალურ ევოლუციის გზაზედ და ჰუმანიზმის სახელით მომავლისაკენ გზას იკაფავს და, თუ გნებავთ, სოციალურ რევოლუციისაკენ უფრო კულტურულ ზომებით და სალი გონიერებით მიექანება. ამ ორი ბლოკის ერთად ხანგრძლივი არსებობა, ან როგორც ამბობენ, თანამშრომლობა იგივეა, რაც ცეცხლისა და წყლის ერთად მოთავსება... მარქსი ასწავლიდა, რომ სოციალური რევოლუცია უნდა იქნეს შედეგი ეკონომიური და ფსიხოლოგიური პირობების განვი-

კიბეზე სასიარულოთ. იდეა კონფედერაციის შეიძლება იყოს, საგანი თეორიულ მსჯელობის, მისი პრაქტიკული განხორციელებისაკენ ნაბიჯის გადადგმა კი უნდა დავუტოვოთ თვით კავკასიის ერთა სუვერენულ უფლებას, იმ პირობებს და გარემოებებს, რომელიც განთავისუფლების შემდეგ წარმოდგება. დღეს არავითარი გარემოება არ მოითხოვს ჩვენგან ნაბიჯის გაკეთებას, ამ უფლებათა მითვისების ცდას, ჩვენს მოვალეობაზე და უფლებებზე გადაჭარბებას. უნდა ვაკეთოთ ის, რაც აუცილებელია, რაც გადაუვალია, ურომლისოთ განმათავისუფლებელი ბრძოლა დაბრკოლდებოდა. ეს კი დღევანდელ პირობებში გვიკარნახებს ჩვენ ერთს: საერთო პოლიტიკური ხაზზე დგომას, საერთო გზით სიარულს მთელ მსოფლიო დემოკრატიასთან.

კავკასიის ერთა საერთო ორგანოც, რომლის იდეას ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. იგი უნდა იყოს ორგანო ერთმანეთის ინფორმაციის, შეხედულებათა გაზიარების, საერთო პრაქტიკულ-პოლიტიკურ საქმიანობაში ერთი გზით სიარულის გაადვილების, და რაც მთავარია, საერთაშორისო მოძრაობის ფარგლებში სოლიდარულად მუშაობის.

ვფიქრობთ, ამ ნიადაგზე უფრო ადვილი იქნება ერთსულოვნობის მიღწევა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

ერთად მუშაობა, საერთო ბრძოლის ჭაპანის ზიდვა — საუკეთესო ნიადაგია მომავალში სახელმწიფოებრივ სოლიდარობისათვის შესაფერი ფორმების გამონახვისათვის. იქ, საბჭოთა სამფლობელოში, ჩვენს დაჩაგრულ ერებს ამეგობრებს საერთო უღელი მოსკოვის დიქტატორულ იმპერიალიზმის; აქ უნდა აერთიანებდეს ამ უღლის მოხსნისათვის მუშაობა.

ვიზრუნოთ ასეთი ერთობისათვის...

თარების და სიმწიფის. ვინ არ იცის, თუ 1917 წელს ნახევრად ველური რუსეთი რამდენად მომზადებული იყო, ზემო აღნიშნული პირობების მხრით, სოციალური რევოლუციისათვის. ამიტომ მარქსიზმის ადგილი ბანდიტიზმმა დაიკავა და ხიშტებზე დაყრდნობილი — ჯერ კიდევ გაუგონარი დიქტატურა ცეცხლითა და მახვილით ლამობს ერთომდა სოციალიზმის განხორციელებას. ადამიანი მისთვის არაფრად ფასობს — ან ფასობს იმდენათ, რამდენათაც ის მონის როლში შრომის იარაღს წარმოადგენს...

როგორც საბჭოები, ისე დასავლეთის დემოკრატია თავის დასაცავათ ემზადება.

მაგრამ საბჭოებს, ჩემის აზრით, მსოფლიო ომი ე. ი. შეიარაღებული შეტაკება დანარჩენ კაცობრიობასთან, ყოველ შემთხვევაში ამ ჟამად მაინც არ უნდათ. სამაგიეროთ ისინი დიდი ხანია აწარმოებენ მეორე ომს, სამოქალაქოს, რომელიც მათთვის უფრო სასარგებლოა, აწარმოებენ ჯაშუშობით, ემისარებით — მეხუთე კოლონით, უამრავი ფულის ხარჯვით და სხვა... არ არის ისეთი კუთხე მსოფლიოსი, სადაც მათ საამისოთ ფეხი არ ქონდეთ მოკიდებული. დაშინებული დემოკრატია თავდაცვისათვის იარაღდება — ეს შეიარაღება უამრავ მილიარდებს ნთქავს, რასაც მეტად მძიმედ განიცდის მოსახლეობა, ხოლო ეს გარემოება ხელს უწყობს საერთო უკმაყოფილების გამოწვევას, არევ-დარევას, რაც საბჭოებისათვის ხელსაყრელია. აი როგორია მათი ომი, აი როგორია მათი მუშაობა მსოფლიოს დასაპყრობათ. ჩემის აზრით, ომი იმ სახით, როგორიც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი, არ იქნება, მიუხედავათ იმისა, რომ ის ყოველ დღე გველანდება, და მოვლენათა მსვლელობის მიხედვით ის თითქოს აუცილებელია არსებულ შეურიგებელ უთანხმოებათა გადასაჭრელად... დემოკრატია მიიღებს ისტორიის წინაშე ომის გამოცხადების პასუხისმგებლობას? ვფიქრობ, რომ არა!

ბოლშევიკებს კი იმედი აქვსთ რომ ზემო მოყვანილი საშვალებებით დემოკრატიის სახელმწიფოებს შიგნიდან აafეთქებენ, და ეს მათთვის უფრო ხელსაყრელია ვინემ საეჭვო აშკარა ომი... დარწმუნებულნი არიან ამით მიზანს მიაღწევენ ადრე თუ გვიან; საჭიროა მხოლოდ დროის მოგება და ამის შესაფერი ტაქტიკაც შემუშავებული აქვსთ. ყველა საერთაშორისო კრებებზე სიამოვნებით მიდიან არა იმისთვის, რათქმა უნდა, რომ ხელი შეუწყონ საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებას — არამედ იმისთვის, რომ იგი უფრო არიონ, და თან აწარმოვონ პროპაგანდა და ყველა დასმულ საკითხებზე ილაპარაკონ გაუთავებლად. ეს ტაქტიკა აშკარა ომზე ნაკლები შედეგების მომტანი არ იქნება, ეს მათ კარგად იციან. ამიტომ ისინი ომს კი არ ეძიებენ, არამედ დროს, რომელიც მათი აზრით საბჭოთა სასარგებლოთ მუშაობს.

მკითხველი უძლურია რაიმე ცვლილებები შეიტანოს შექმნილ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ქართველ მკითხველს აინტერესებს უფრო ჩვენი საკითხი. ეს უკანასკნელი ისე მჭიდროდ არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული მსოფლიოს ბედთან, როგორც დღეს არის. რა თქმა უნდა ქართული საკითხი, ჩვენთვის მეტად დიდი, არის ძლიერ პატარა მსოფლიო პრობლემებთან შედარებით. პატარას და სუსტს კი ყურადღებას ნაკლებად აქცევენ. რა საშუალება გვაქვს ჩვენ ის ყურადღების ღირსად გავხადოთ და მისი ბედი დღის წეს-რიგში იქნეს დასმული? საჭიროა ყოველ დღიური შეუჩერებელი მუშაობა, ყოველ მხრივ და ყოველ სფეროში, საჭიროა მსოფლიოს სინდისის წინაშე ჩვენი ერის ტრაგედია ფართოდ იქნეს გადაშლილი, რომ უკანასკნელ განკითხვის დღეს ჩვენი საკითხის „დოსიე“ უნაკლულო იქნეს; განა ჩვენ განვიცდით რაიმე საგარეო დაბრკოლებებს ამ სფეროში? განა ის ქვეყანა, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, არ გვაძლევს საშვალებას ფართოდ გავშალოთ ჩვენი საკითხის პროპაგანდა?.. ხოლო ვსარგებლობთ ჩვენ ამ თავისუფლებით? სამწუხაროდ — ეს თავისუფლება ჩვენ გამოვიყენეთ, ან ვიყენებთ ერთი-მეორის სალანძღავად და საკიცხავად; სჩანს ჩვენი ქვეყნის ტრაგედიას ნაკლებად განვიცდით, თორემ ასეთ უმზგავსობას როგორ უნდა ქონდეს ადგილი?

ვინც „ოკუპაციის“ დროის საფრანგეთში იყო, ის დაინახავდა, რომ უკიდურეს მემარჯვნიდან უკიდურეს მემარცხენემდე მებრძოლი საფრანგეთი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე იდგა და იბრძოდა ერთად ერთი მიზნისათვის — „ოკუპანტების“ სამშობლოდან გასაძევებლად. ჩვენ პატარა ძალებს, რა თქმა უნდა, ბევრი არა შეუძლია რა, მაგრამ ის, რის გაკეთებაც შეუძლია და ვერ აკეთებს ერთი-მეორესთან შეუთანხმებლობით — ამას არც ჩვენი ერი და არც მისი ისტორია არასოდეს არ გვაპატიებს. ჭეშმარიტად კარგია, რომ საქართველოს ბედი მხოლოდ

ემიგრაციაზე არ არის დამოკიდებული, თორემ ის დიდიხნიდან დაღუპული იქნებოდა. საქართველოს ხშირად ქონია თავის ისტორიის გასწვრივ მწარე ეპიზოდები, მაგრამ თავისი გმირული ბრძოლით, გონიერი დროის შესაფერი პოლიტიკის წარმოებით ისევ ფეხზე დამდგარა და თავისი ისტორია გაუგრძელებია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის დღევანდელ ტრაგედიასაც გაუძლებს! მაგრამ ვაი ჩვენს სირცხვილს! განა ღირსი ვიქნებით პატრიოტისა და თავისუფლებისათვის მებრძოლის სახელის, თუ ჩვენი წვლილი არ მივიტანეთ მის საკურთხეველზე?

უდავოა, რომ მარტო ჩვენი ძალებით შორს ვერ წავალთ; ნაცარ-ქექიას როლი კი ჩვენი საქმე არ არის. სამი მილლიონიანი ერი ორას მილლიონიანს ომს ვერ გამოუცხადებს. ჩვენთვის საჭიროა ძალების შემოკრება. როგორ შეიძლება ეს? ჩვენს პირობებში მყოფ ერებთან დაკავშირებით, დემოკრატიულ ქვეყნების საერთო ბრძოლის ფერხულში ჩაბმით; მაგრამ როგორ შეგვიძლია სხვებს დაუკავშირდეთ, როდესაც ჩვენ თითონ დანგრეული ვართ და საერთო ენა ვერ გამოგვინახავს? ზევით ლაპარაკია ვისბადენის თათბირზე. ყოველ ქართველისათვის სასიამოვნო უნდა იყოს, რომ ამ თათბირზე, რომელზედაც რუსთა ორგანიზაციების საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ, პირველი როლი ქართველი ემიგრაციის წარმომადგენლებმა ითამაშეს, რომ მათ ხელში გადავიდა თათბირის მთელი ხელმძღვანელობა, რომ არავითარ დათმობაზე ეროვნული საკითხის შესახებ ისინი არ წასულან და საქართველოს დამოუკიდებლობის ავტომატიურად აღდგენის დასტური მიიღეს, ჩვენ რად უნდა ვიყოთ ამის წინააღმდეგი? ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ საბჭოებმა გვიცნეს და არა იმათ, ვისთანაც ჩვენ ეხლა გვინდა კავშირში შევიდეთ (რუსთა ემიგრანტების მემარცხენე სექტორი). რას ვკარგავთ იმით, რომ მათ აღიარონ დღეს, ყოველგვარი რეზერვების გარეშე, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა? მათ დაპირებას განა ჩვენი მუშაობის პოლიტიკის ბაზად ვხდით? მათთან კავშირი ჩვენი ბრძოლის ერთ ფორმათაგანია და სხვა არაფერი... დღეს ჩვენთან არის ბუნებრივად კავშირში მთელი ანტიბოლშევიკური მსოფლიო, ამ ოცდაათი წლის წინად მარტო ვიყავით... ამას გამოყენება უნდა...

— რა ჩვენი საქმეა, თუ მეორე სახელმწიფოს რა რეჟიმი აქვსო ამბობენ — ეს სრულ ჭეშმარიტებათ ქონდათ გამოცხადებული, თუმცა ერთმანეთის რეჟიმში მუდამ ცდილობდენ ჩარევას; ჩვენს კ ო ნ კ რ ე ტ ი უ ლ შემთხვევაში კი ეს თეორია სრულიად გამოუსადეგარია, ვინაიდან ლაპარაკი რომელიმე მეორე სახელმწიფოზე კი არ არის, არამედ იმ ქვეყანაზე რომელიც ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა ჩვენს სამშობლოში და უხეში ძალით თავს მოგვახვია რეჟიმი, ჩვენი ხალხისათვის აუტანელი და მიუღებელი. მაშასადამე საქართველოს უფლებების საკითხი ხორცს შეისხამს, დამოუკიდებლობის და თავისუფლების სახით, მხოლოდ შემოტანილი რეჟიმის და მის შემომტანთა დანგრევით. როდის მოხდება ეს ამბავი, არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევისათვის უნდა ვემზადოთ და არ გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, კავშირების თუ სხვა სახით, რაც ჩვენ ბრძოლას გააცხოველებს და გააძლიერებს... ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქართული ემიგრაციის გამთლიანება-გაერთიანება. ამ მხრით მთელი ქართული ემიგრაცია მხოლოდ ერთი ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ყველას ერთი მიზანი გვაქვს, რაც საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ერთსულოვნად ვიბრძოლოთ ტანჯულ სამშობლოს განსათავისუფლებლად...

დასკვნა: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორი ბლოკი სხვა და სხვა მოტივებით გაურბიან ცხელ ომს, სამაგიეროდ ორივენი იღებენ ყოველ-გვარ ზომებს, რათა ერთმა მეორე დაარღვიოს, გააკოტროს, გაცვითოს იდეურად, პოლიტიკურად და ეკონომიურად. ეს ამბავი დიდი ხნის პროცესის საქმეა; ამ ხნის განმავლობაში ცხოვრება ძალზედ გამწვავდება და სტანდარტი არსებობის დიდად დაეცემა — რაც აზროვნებაზე და ფსიხიკაზე შესაფერ გავლენას გამოიწვევს და თანდა-თანობით, თითქმის შეუმჩნევლადაც თანახმად თქმულებისა — მდგომარეობა ჰქმნის შეგნებასო — ჩამოაყალიბებს ერთგვარ შ ე გ ნ ე ბ ა ს და ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა ს, რაც არ იქნება გამომხატველი **არც ბოლშევიზმის** და **არც დღევანდელი დემოკრატიის**, არამედ — რაღაც მესამე, ამ ორივესი, ასე ვსთქვათ, სინტეზი. თუ რა სახის და შინაარსის იქნება არსებითად ეს სინტეზი, ამის თქმა ძნელია... აშკარაა იბადება — ეპოქა სრულიად ახალი მთელი თავის შინაარსით აზროვნებისა და მორალის მხრით, სათანადო პოლიტიკით და ეკონომიკით. მშობიარეობა მიმდინარეობს დიდი ტანჯვა წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთა თავისუფლებისათვის

პირველი დიდი მსოფლიო ომის შედეგი იყო რუსეთის რევოლუცია 1917 წელს, ხოლო 1918 წელს რევოლუცია ცენტრალურ ევროპაში. თებერვლის დიდი რევოლუციისთანავე იწყება ფართო ეროვნული მოძრაობა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე. ეს მოძრაობა კიდევ უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა გადატრიალება მოახდინეს და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. უმთავრესათ აქედან დაიწყო დიდი და მთლიანი რუსეთის დაშლა და დაყოფა. რევოლუციის პროცესში რუსეთი ირღვევა და ნაწილდება, არარუსი ერები თვითონ აწყობენ თავიანთ საქმეებს და თავისუფალი ხდებიან.

ომში ავსტრია-გერმანიის დამარცხებასაც დიდი ცვლილებები მოჰყვა ცენტრალურ ევროპაში: ეროვნულად განთავისუფლდენ და საკუთარი სახელმწიფოები შექნეს უნგრელებმა და ჩეხებმა; ამასთანავე პოლონეთი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სამჯერ იყო განაწილებული რუსეთ - პრუსია - ავსტრიის შორის, 1918 წელს ერთიანდება და დამოუკიდებელი დიდი სახელმწიფო ხდება.

ამნაირად, ამ 34 წლის წინეთ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპაში ზოგი ერები განთავისუფლდენ უცხოთა დიდი ხნის მონობისაგან და მოეწყვენ ცალ-ცალკე სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში.. აქ ყოველგან ერთი ერი ერთი სახელმწიფო იყო. ახლად დაარსებულ სახელმწიფოებში ყოველგან დიდ ენტუზიაზმს და გატაცებას ქონდა ადგილი. ყოველგან დიდი აღმშენებლითი მუშაობა გაჩაღდა და შინაური მდგომარეობის განმტკიცებას შეუდგენ. ფიქრობდენ, განთავისუფლდენ რა უცხო ბატონობისაგან, ამიერიდან მათ მიეცემოდა საშუალება მშვიდობიანი ცხოვრების და ეროვნული შემოქმედება - განვითარებისა.

მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში მალე რუსეთის რევოლუციას ბოლშევიზმის წითელი რეაქცია დაეპატრონა. ამ რეაქციამ მგზავსად ძველი რუსეთისა ხელახლად დაიპყრო და დაიმონავა იქ წინეთ მომწყვდეული ზოგი არარუსი ერები, რომელნიც დიდი რევოლუციის პროცესში განთავისუფლდენ და დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ გახდენ.

საბჭოთა რუსეთმა ოკუპაცია მოუხდინა და ძალით შეიერთა კავკასია, უკრაინა, თურქესტანი და სხვა. მას უნდოდა ასეთნაირადვე ძალით დაეკავებია ბალტიის პატარა სახელმწიფონი და პოლონეთი. მაგრამ ამ უკანასკნელთა ბედიღბლით, განსაკუთრებით მათი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო დასავლეთი ევროპის ზოგი დიდი ქვეყნები უფრო დაინტერესებული იყვნენ, ვიდრე კავკასიელებით და სხვებით. ამით აიხსნება ის, რომ ბოლშევიკებმა მათი იმპერიალისტური გეგმის მთლიანად განხორციელება მაშინ იარაღის საშუალებით ვერ მოახერხეს. მაგრამ ამ მიზნის მიღწევას ისინი შემდეგ სხვა ქვეყნებშიდაც შეეცადენ მე-5-ე კოლონების შექმნით და შინაური გადატრიალებით.

ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ და ტაქტიკამ დასავლეთ ევროპაში გამოიწვია დიდი წინააღმდეგობა და-არევ-დარევა. ბოლშევიზმა ასაზრდოვა და გაამაგრა ევროპის რეაქცია. ბოლშევიკები შეგნებულად ხელსუწყობდენ ევროპის მემარჯვენე წრეების გაძლიერებას. ფიქრობდენ, თუ საზოგადოების ერთი ნაწილი მარჯვნით წავიდოდა, ეს გამოიწვევდა საზოგადოების მეორე ნაწილის, მემარცხენე დაჯგუფებათა კომუნისტებთან შეერთებას. ამას კი შედეგათ, მათი აზრით, მოყვებოდა მემარჯვენეთა და კომუნისტებთა შორის სამოქალაქო ომი, რაც უკანასკნელთა საბოლოო გამარჯვებით დამთავრდებოდა. ამიტომ იყო, რომ მოსკოვის ბრძანებით

---

მებით, რომლის მზგავსი შეიძლება არასოდეს არ გაევლოს კაცობრიობას...

ეს არის ჩემი, ასე ვსთქვათ, შეხედულება მიმდინარე პრობლემებზე; მაგრამ არა თუ მე, უბრალო მეთვალყურე, არამედ უდიდესი, მსოფლიო მაშტაბის პოლიტიკური მოაზროვნეც ვერ იტყვის გადაჭრით იმას, თუ რა მოელის კაცობრიობას ასეთ პირობებში. ამიტომ დღეს უფრო, ვინემ ოდესმე, საჭიროა ჩვენთვის, ქართველებისათვის ერთად ყოფნა და ჩვენი მუშაობის გაცხოველება.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ საერთო ძალით ამ მოზღვავებული მოვლენათა ცვალებადობის რთული კვანძის გარკვევას, იქ ჩვენი მიზნების შესაფერი პოზიციის გამონახვას, მეგობრობის და მოკავშირეების შეძენას. აი ეს იქნება სასარგებლო ქართულ საქმისათვის.

ს. ასათიანი

კომუნისტები გერმანიაში, როგორც ყოველგან, ყველაზე უფრო სასტიკად სოციალისტებს და საერთოდ დემოკრატიას ებრძოდენ და ამით საწინააღმდეგოთ ყოველთვის მემარჯვენეებს მხარს უჭერდენ. ეს ტაქტიკა იყო გერმანიაში დიდად ხელისშემწყობი ფაქტორი ჰიტლერის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩადგების.

1939 წელს ბოლშევიკებმა ერთნაირი ტაქტიკური მანიოვრები აწარმოეს და მოინდომეს ჰიტლერის გერმანიის ომში ჩაბმა დემოკრატიულ ინგლისის და საფრანგეთის წინააღმდეგ. ბოლშევიკების მთავარი მიზანი იყო ომის გზით ამათი მოღლა და დაუძლურება, შემდეგ კი, როგორც მათზე, ისე მთელ ევროპაში გაბატონება. სტალინმა ამ ტაქტიკის სარეალიზაციოთ ჰიტლერთან კავშირიც კი შეკრა. მალე საბჭოთა კავშირმა და ჰიტლერის გერმანიამ პოლონეთის ტერიტორია მეგობრულად გაიყვეს, რასაც პოლონელებისადმი ალიების გამოსარჩლება მოყვა და ისინი გერმანიასთან ომში ჩაებენ. ამავე დროს კი სტალინი და ჰიტლერი ერთმანეთს უთვალ-თვალებდენ და ერთი მეორის მოსატყუილებლად ემზადებოდენ. სიტყვის გატეხა-მოტყუილებაში ჰიტლერმა სტალინს დაასწრო და გერმანიამ, რომელიც დასავლეთით უკვე ომს აწარმოებდა, აღმოსავლეთით მეორე ფრონტი გახსნა, საბჭოთა რუსეთს სასტიკად დაეჯახა, პირველ ხანებში შუაგულ რუსეთში შეიჭრა და მას უდიდესი ზიანი მიაყენა.

სტალინი დამარცხების წინაშე იდგა, მაგრამ მას ინგლის-საფრანგეთი გვერდში ამოუდგენ და ჰიტლერის წინააღმდეგ საერთო ბრძოლა გააჩაღეს. მალე ალიების რიგებს უმდიდრესი და უძლიერესი ქვეყანა — ამერიკაც შეუერთდა და გერმანიას ომი გამოუცხადა. ამ მეორე დიდ მსოფლიო ომში ამერიკის ჩარევით გერმანიის ბედ-იღბალი გადაწყდა ისე, როგორც ეს პირველი დიდი ომის დროს მოხდა. ფულმა, სიმდიდრემ, დიდმა რესურსებმა ტექნიკამ დაბოლოს გაიმარჯვა. ჰიტლერის გერმანიას უპირობოთ იარაღი დააყრევინეს, მისი სრული კაპიტულაცია მოახდინეს. მეორე მხრივ, შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა რუსეთის დიდი მოწინააღმდეგე და მტერი იაპონიაც მოსტეხეს და დაჩოქეს.

ამით შეიქმნა ახალი საერთაშორისო მდგომარეობა, შეიცვალა ძალთა განწყობილებაც. ევროპაში გერმანის, შორეულ აღმოსავლეთში კი იაპონიის დამარცხებამ საბჭოთა რუსეთს ჩამოაშორა ორი უდიდესი და უძლიერესი მტერი. ამან დიდად შეუწყო ხელი ომის პროცესში ძალზე მოღლილ და დაზიანებულ საბჭოთა რუსეთის წელში გამართვას და მის მიერ კვლავ ახალი ავანტიურების მზადებას. ომს ამერიკა და ინგლისი იგებდა, ამ გამარჯვების შედეგებით კი სხვადასხვა კონფერენციებზე ალიების ზედმეტი და გადამეტებული დათმობით (ტეგერანში, იალტაში, პოსტდამში), საბჭოთა რუსეთი სარგებლობდა. ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ უდიდესი შეცდომა იყო ჩადენილი ამერიკა-ინგლისის მიერ, როცა მათ საბჭოთა ჯარები ბალკანეთში შემოუშვეს და იქ მათი გავლენა დაამყარეს. ასეთივე დიდი შეცდომა იყო ჩადენილი, როცა ალიებმა უკვე მათ მიერ დაკავებულ ბერლინიდან უკან დაიხიეს და იქ წითელი ჯარები შემოუშვეს სტალინის იმ მოთხოვნის გამო, ვითომც ეს სჭირდებოდა მას, როგორც უბრალო მორალური პრესტიჟის აქტი, ომში ასე სასტიკად დაზიანებულ რუსის ერის წინაშე. სინამდვილეში კი სტალინი ცდილობდა მთავარი სტრატეგიული ადგილები თავიდანვე დაეკავებინა.

დიდი წინდაუხედველობა და მომავლის გაუთვალისწინებლობა იყო ის, რომ მოსკოვს მიეცა საშუალება ბალკანეთში გამაგრებისა და ბერლინში—შუაგულ ევროპაში მოკალათებისა.

წითელი ჯარებით ფაქტიურად დაკავებულ იქნა ყველა ის თავისუფალი სახელმწიფონი (ბალტიის, ცენტრალური ევროპის და ბალკანეთის ქვეყნები), რომელნიც ომის პროცესში ჰიტლერის მიერ იყო დაპყრობილი. ალიები ასეთ მდგომარეობას ადვილად ურიგდებოდენ. ალბათ ფიქრობდენ, რომ საერთო საზავო მოლაპარაკების დროს ყველაფერი ადვილად მოგვარდებოდა, საბჭოთა რუსეთი თავის კალაპოტში ჩადგებოდა და სხვებსაც მისცემდა თავისუფალ და მშვიდობიან ცხოვრების საშუალებას. მათი აზრით, სტალინი ომის დროს შედარებით ზომიერების პოლიტიკას აწარმოებდა: მან აიღო და გააძლიერა ეროვნული ხაზი და არა პარტიულ-კომუნისტური; გაამეფა სუვოროვის, კუტუზოვის და ძველი რუსეთის სხვა გენერლების კულტი; ზოგ რამეში შეღავათი მისცა მღვდლებს; გახსნა ეკლესიები და ღვდლებმა დაიწყეს ლოცვა-ვედრება რუსის იარაღის გასამარჯვებლად; თვითონაც სტალინი მარშალი გახდა და მხრებზე 'საამისო ნიშნები დაიკერა. ყველაფერი ეს, ფიქრობდენ ალიები, სტალინის ლიბერალიზმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის მიერ საერთაშორისო რევოლუციაზე ხელის აღებას მოასწავებდა. მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდენ.

წითელი ჯარები ყველა ქვეყნებში, სადაც შეიჭრნენ თავისთავს ბატონათ სთვლიდენ და თანდათანობით ყველგან კომუნისტურ ძალაუფლებას ამყარებდენ. მათ ამ საქმეებში დასახმარებლად და სახელმძღვანელოთ მოსკოვიდან აუარებელი აგენტები იგზავნებოდენ. დაკავებულ ქვეყნების სოვეტიზაცია აშკარად და მოურიდებლად ხდებოდა. დავიდავნე სხვა პარტიების დაშლით და აკრძალვით ადგილობრივი კომუნისტების გაძლიერებას და გამაგრებას უმთავრესი ყურადღება ექცეოდა. ნაციონალური ჯარების მეთაურებათაც წითელი არმიის სარდლობის მიერ მათი სანდო პირები (როკოსოვსკი და სხვები) ინიშნებოდენ. ჩეკისტების მიერ არა სასურველი და საეჭვო ელემენტების დაჭერას, გადასახლებას, ხელოვნურად მომზადებულ და შექმნილ პროცესების მოწყობას საზღვარი არა ქონდა და დღესაც გრძელდება. ასეთ პოლიციურ თავხედობას და ზომებს თან მოყვა საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიური ექსპლოატაცია და სრული დამორჩილება.

ბალტიის, ცენტრალური ევროპის და ბალკანეთის ქვეყნებში მოსკოვი აწარმოებს სავსებით იმავე პოლიტიკას, რასაც მას დღემდე უწარმოებია საბჭოთა კავშირის ყველა დაპყრობილ ერების და თვით რუსის ერის მიმართ.

მოსკოვი ცდილობს ყველა ამ ერთა ტერიტორიებზე მომაგრდეს და ერთნაირი სტაბილიზაცია მოახდინოს. ამ მიზნის მისაღწევათ ის არ ერიდება არავითარ ხერხს და საშუალებას. მისი სიმკაცრე და ტირანია ყოველგვარ საზღვარს სცილდება. თავიდან ფეხამდე საყოველთაოდ იარაღს ისხამს და მისი ბიუჯეტის დიდი ნაწილი ამას ხმარდება. მოსკოვი მთელ აზიის ქვეყნებს და კულტურულ კაცობრიობას წალეკვით და თავის დომინაციის დამყარებით ემუქრება. იგი დღეს ერთი ყველაზე აქტიური და დინამიური იმპერიალისტური სახელმწიფოა.

კაცობრიობის წინაშე დგას დილემა—ან დაემორჩილოს ამ უხეშ ძალას და მით დიდი ხნით დაკარგოს მშვიდობიანობა და კეთილდღეობა, ან და ამ საშინელებას მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლოს.

ევროპის დემოკრატიას, რომელსაც დღეს ამერიკა ხელმძღვანელობს, არ შეუძლია შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას გულგრილად უყუროს. ამიტომაც არის, რომ ეხლა საერთაშორისო დემოკრატია ირაზმება, იარაღდება და კარზე მომხდურ აგრესორის თავის მხრივ აფრთხილებს და, თუ ის გონიერებას დაჰკარგავს, მას დასჯით ემუქრება. ყველა თავისუფალი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი ამ ხაზზე გადაჭრით და ენერგიულად უნდა დადგეს. ეს იქნება დიდად გამამხნევებელი და წამახალისებელი მაგალითი იმ ერებისათვისაც, რომელნიც დღეს საბჭოთა ტირანიის ქვეშ იტანჯებიან. ყველა ამ ერთა შვილებიც დიდი მოვალეობის და პასუხისმგებლობის წინაშე დგანან. მათაც სჭირიათ ჭირში გამაგრება და დარაზმვა, ურთიერთ შორის კავშირი და შეთანხმება.

დიქტატორი და ტირანი არასოდეს თავის ნებით და სურვილით თავისუფლებას არ იძლევა. ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად და ერთა თავისუფლების მოსაპოვებლად აუცილებელია ყველა ჩაგრულ და თავისუფლება-აყრილ ერთა დემოკრატიის მსოფლიო დემოკრატიასთან ერთად ყოფნა და მოქმედება.

კ. გვარჯალაძე

# მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოის კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატეს გარდაცვალება

საქართველოდან მოგვივიდა სამწუხარო ამბავი: ა. წ. 3 თებერვალს თბილისში გარდაიცვალა სრულიად საქართველოის კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი კალისტრატე—ეროვნაში ცინცაძე. კ. ცინცაძე დაიბადა სამტრედიაში—სადაც მამა მისი იყო მღვდლათ—12 აპრილს 1866 წელს. 9 წლის ხავში მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. აქედან გადადის ის თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს პირველი ხარისხით. უმაღლესი განათლება კი მიიღო კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1892 წ. მაგისტრის ხარისხით.

1893 წელს კურთხეულ იქნა დიდუბის ეკლესიის მღვდლათ. აქ ახალგაზრდა მღვდელ-მსახური პირველ წლიდანვე იჩენს განსაკუთრებული შრომის უნარს და აღმშენებლობითი ნიჭს.

[stamp]

ორი - სამი წლის განმავლობაში მან გადაქმნა და გაამშვენიერა ეს ეკლესია.

1903 წელს მამა კალისტრატე იქნა გადაყვანილი ქვაშვეთის ეკლესიაში იმავე თანამდებობაზე. ამ ეკლესიის შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს და მაშინვე შეუდგა მის გადაკეთებას. მოაგროვა ამისათვის საკმარისი თანხა, სრულებით დაანგრია ძველი შენობები და ააგო ახალი ეკლესია.

1909 წ. მამა კალისტრატე იქნა აყვანილი დეკანოზის ხარისხზე; ამ დროს მას ვხედავთ სხვა და სხვა საზოგადო საქმიანობაში: ის არის სამღვთო სჯულის მასწავლებელი სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, ლევანდოვსკის სახელობის კერძო გიმნაზიაში, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში; ინიშნება თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის წევრად; თავგამოდებით მუშაობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებაში. საზოგადო ასპარეზზე ის უკვე მოსჩანს თვალსაჩინო პიროვნებათ.

განსაკუთრებულ აქტიობას აწარმოებს დეკანოზი კალისტრატე საქართველოს ეკლესიის ინტერესების დაცვის საქმეში, რომელიც მაშინ ძალიან მძიმე და საშიში ხანას განიცდიდა. ქვაშვეთის ეკლესიის გალავანში—დეკ. კალისტრატეს ბინაზე—იკრიბებოდნენ გამოჩენილი ქართველი მღვდელ-მსახურნი. აქ იყო მათი „მთავარი შტაბი“, რომელიც უწევდა სასტიკ წინააღმდეგობას იმ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდნენ ჩვენი ეკლესიის მიმართ ადგილობრივი რუსის ელემენტები დეკანოზ ვოსტორგოვის მეთაურობით.

სწორედ აქ, დეკ. კალისტრატეს ბინაზე, — იყო დამუშავებული 1906 წელში საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პროექტი, რომელიც ეპისკ. კირიონმა და ეპისკ. ლეონიდმა წარუდგინეს სათანადო ხელისუფლებას.

ვიცით რა ბედი ეწვია ამ პროექტს. მაგრამ ის სამართლიანი მოთხოვნილება ჩვენი ეკლესიისა, რაც მაშინ რუს მთავრობამ თავზე გადაგვახრია, საქ. ეკლესიამ ათი წლის შემდეგ, რევოლიუციის პირველ დღეებშივე დააკანონა და განახორციელა. 26 (12) მარტს 1917 წ. მცხეთის ტაძარში ჩვენმა მღვდელ-მთავრებმა გამოაცხადეს საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა; და ეს აქტი ცნობისათვის გაუგზავნა რუსეთის სინოდს და მთავრობას.

მაგრამ ვინაიდან საქართველო იმ დროს ნაწილი იყო რუსეთის, საჭირო იყო, რომ რუსეთის მთავრობას ეცნო ავტოკეფალური ეკლესია და მით მიეცა მისთვის საშუალება დამოუკიდებელი აქტიობისათვის საეკლესიო ფარგლებში. ამის შესახებ აღძრული მოლაპარაკება თბილისის და პეტროგრადის შორის ფუჭად დარჩა; ამიტომ ამ საკითხის მოსაგვარებლათ პეტროგრადში გაემგზავრა ჩვენი ეკლესიის დელეგაცია გორის ეპისკოპოზის ანტონის (გიორგაძე) და დეკ. კალისტრატეს შემადგენლობით. პეტროგრადში მათ მიემატათ განთავისუფლებულნი ტყვეობიდან, რევოლიუციის წყალობით, ეპისკოპოსი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია). მათ მუშაობაში ღებულობენ მონაწილეობას აგრეთვე ცნობილი საეკლესიო ისტორიკოსი პროფ. ალექსანდრე ცაგარელი, ბ. ზურაბ ავალიშვილი, ალ. ჩერქეზიშვილი და სხ.

ორი თვის განმავლობაში დიდი მუშაობა გასწია ჩვენმა დელეგაციამ, და მუშაობის მთელი სიმძიმე აწვა დეკ. კალისტრატეს, ის დგენდა მემორანდუმებს, ის აძლევდა ტონს ამ მუშაობას.

დელეგაცია უარით დაბრუნდა თბილისში, მაგრამ ეკლესია განაგრძობდა თავის მუშაობას და იმავე წლის ოქტომბერში თბილისში სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებამ დაადასტურა საქ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი და საკათალიკოსო ტახტზე აიყვანეს ეპისკოპოზი კირიონი.

ამ დღიდან საქ. ავტოკეფალური ეკლესიის ცხოვრება მიმდინარეობდა ნორმალურად 1921 წლის თებერვლამდე, როცა რუსეთის შეიარაღებული ჯარები ბოლშევიკების მეთაურობით შემოიჭრნენ საქართველოში. ის უბედურება, რომელიც დაატყდა თავზე ქართველ ერს, გაბედულ წინააღმდეგობას იწვევს განსაკუთრებით ჩვენი ეკლესიის მეთაურების მხრით. გვემახსოვრებათ, კათალიკოსი ამბროსის უშიშარი მიმართვა მემორანდუმით გენუაში შეკრებილი გამარჯვებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციისადმი, სადაც ის აღწერს ქართველ ერის ალტანჯულ მდგომარეობას და ითხოვს დახმარებას. ეს მემორანდუმი გამოიტანა საქართველოდან გიორგი გვაზავამ და გადასცა გენუის კონფერენციას.

ამის გამო კათ. ამბროსი, ზოგიერთი სხვა გამოჩენილი მღვდელ-მთავარნი, მათ შორის დეკ. კალისტრატე დაიჭირეს ბოლშევიკებმა და ჩააგდეს ჩეკაში. გაიმართა საჩვენებელი პროცესი.

როგორ ეჭირათ თავი ამ პროცესზე ჩვენი ეკ-

ლესიის მეთაურებს? ვის არ ახსოვს უკანასკნელი სიტყვები კათ. ამბროსისა მიმართული ბოლშევიკების სასამართლოს მიმართ: „მე არ მეშინია თქვენი განაჩენის — ჩემი სული ზეცას ეკუთნის, გული ჩემს საყვარელ საქართველოს. ჩემი მძორი კი მიიღეთ და გამოიყენეთ, როგორც გნებავდეთ"-ო.

ურწმუნო ბოლშევიკებსაც კი არ ეყო ძალა ტყვიებით ეპასუხნათ ამ გაბედულ სიტყვებზე და თავისი განაჩენი ამოსწორეს მხოლოდ ციხეთი დასჯით.

ამბროსი და კალისტრატე ისევ ბრუნდებიან ციხეში. მაგრამ მალე ეს სასჯელიც შეუცვალეს მათ სახლში დაბრუნებით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

დეკან. კალისტრატე 1925 წელს საკათალიკო საბჭომ აკურთხა ეპისკოპოსად და იმავე დროს იქნა აყვანილი მანგლისის მიტროპოლიტის ხარისხზე; 1932 წელს კი სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ იქნა არჩეული კათალიკოზად.

ამ არჩევანს დიდი ენტუზიაზმით შეხვდა ხალხი: დახურული ეკლესიები ერთი-მეორეზე იხსნება და იქ გაისმის მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა. ხალხი უბრუნდება ეკლესიას. ის, ვინც გუშინ ერიდებოდა ეკლესიაში შესვლას, დღეს უფრო გაბედულად შედის იქ — ჯვარს იწერს, ბავშვებს ნათლავს.

რა გაკეთდა იქ ამ უკანასკნელ ოცი წლის მანძილზე კათ. კალისტრატეს მეოხებით ჩვენი ეკლესიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ რკინის ფარდის აქეთ მოქცეულებმა — დანამდვილებით არ ვიცით. მხოლოდ ვინც იცნობს კალისტრატე ცინცაძეს წარსულს, მის საამშენებლო საქმიანობას სისხლიანი ცარიზმის ხანაში, ის დაიჯერებს, რომ კათ. კალისტრატე არ შეუშინდებოდა გაეგრძელებია ეს აღმშენებლობითი შემოქმედება თავის ეკლესიის აღდგენისათვის, მიუხედავად იმ მძიმე პოლიტიკური პირობებისა, რომელშიდაც იმყოფება დღეს ჩვენი წამებული სამშობლო.

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის კათალიკოს კალისტრატეს ჩვენი ეკლესიის საგარეო გამაგრების საქმეში; კონტაქტის დაჭერა რუსეთის პატრიარქიასთან, რომელიც იქნა გამოცხადებული 1917 წ. ნოემბერში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რადგან უამისოდ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიას უძნელდებოდა მსოფლიო ეკლესიის წევრად გამხდარიყო. ჩვენი ეკლესია არა ერთხელ შეეცადა დაემყარებია მოსკოვის პატრიარქიასთან სულიერი ურთიერთობის კავშირი. მაგრამ ამაოდ. მოსკოვი უარზე იდგა ეცნო საქ. ავტოკეფალური ეკლესია. მხოლოდ როცა 12 ნოემბერს 1943 წ. მოსკოვის პატრიარქად იქნა არჩეული მიტრ. სერგი, კათ. კალისტრატემ შესძლო მასთან ენის გამონახვა და სრული შეთანხმება ყველა სადაო საკითხებზე. ამის შედეგი იყო ის, რომ მოსკოვის პატრიარქმა სერგიმ იცნო საქ. ავტოკეფალური ეკლესია, რაიცა აცნობა, როგორც საქართველოს, ისე ეკლესიების მამა-მთავრებს.

1944 წლის მაისში გარდაიცვალა პატრ. სერგი. 3 თებერვალს 1945 წელს მის ადგილას იქნა არჩეული ლენინგრადის მიტროპოლიტი ალექსი. კურთხევას დაესწრნენ ყველა პატრიარქები მსოფლიო ეკლესიის: სრულიად საქართველოს პატრიარქი-კათალიკოსი კალისტრატე; ქრისტეფორე — ალექსანდრიის პატრიარქი; ალექსანდრე — ანტიოქიის პატრიარქი; ტიმოთე — იერუსალიმის პატრიარქი; კონსტანტინეპოლის პატრიარქის ავათმყოფობის გამო — მისი ეგზარხოსი გერმანოსი. ამათ გარდა აქ იყვნენ მეთაურები სერბიის, რუმინეთის, ბულგარიის, ეთიოპიის და ჩრდილო-ამერიკის ეკლესიებისა და კენტერბერიის არქიეპისკოპოზის წარმომადგენელი.

ამ უმაღლესი საეკლესიო კონკლავში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ეჭირა საქ. კათალიკოზს, მთელი ამ კრებულის სახელით მან აკურთხა მიტრ. ალექსი სრულიად რუსეთის პატრიარქად. თავის უკანასკნელ სიტყვაში, რომელითაც მიმართა რუს. ახლად არჩეულმა პატრიარქმა მსოფლიო ეკლესიების წარმომადგენელთ, მან განსაკუთრებული ლმობიერებით მოიხსენია საქ. ავტოკეფალური ეკლესია და, მიმართა რა პირადად კათ. კალისტრატეს, განაცხადა: „მე განსაკუთრებულ ბედნიერად ვგრძნობ ჩემს თავს, რომ საქართველოს ეკლესიის — რუსეთის ეკლესიის უფროსი მოძმეს — მამა-მთავარმა დამადგა დღეს გვირგვინი თავზე"-ო.

ასეთი იყო მოღვაწეობა განსვენებული კათალიკოზის, გარდაიცვალა იგი ღრმა მოხუცებული, 86 წლის.

მთელი საქართველო დასტირის მის დაკარგვას. გლოვობს მას ჩვენი ემიგრაციაც.

ალ. ქორქია

## მათი პოლიტიკა

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ ემიგრაციაში გამოჩნდა გაორება პოლიტიკური მუშაობის; შექმნილია ორი ცენტრალური ორგანო, ორი გზა, ორი ხაზი მოქმედებისა. ერთის მეთაურობა ეროვნული საბჭო თავის აღმასრულებელი კომიტეტით, მეორეს ეგრეთ წოდებული „ეროვნული პოლიტიკური ცენტრი". პირველი წარმოიშვა, ვიცით, თითქმის მთელი საზღვარგარეთული ემიგრაციის დელეგატთა საერთო ყრილობაზე, მეორე კი, რომელიღაც კრებაზე თუ, როგორც აცხადებენ, „კონფერენციაზე", რომლის არც მოწვევა სმენია ვისმეს, არც ადგილი შეკრების და არც შემადგენლობა. იგი მოხდა ფარულად, დამალულად ქართული საზოგადოებისაგან.

პირველის წესდებას ამ ნომერში გაეცნობა მკითხველი, ხოლო პროგრამა მოქმედების და სახელმძღვანელო პრინციპები ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში იყო გამოქვეყნებული და დასაბუთებული. გარკვეული იქნება შემდეგშიაც ახალ საკითხების წამოჭრასთან ერთად. გამოქვეყნებული იყო მისი 3-4 თვის პრაქტიკული მუშაობის ანგარიშები. ამ რიგათ, იგი საზოგადოების წინაშე სდგას ღიათ, მზის სინათლეზე და მის საერთო აზრსა და დაფასებას ექვემდებარება.

მეორე რას მოქმედებს და რას აკეთებს მთელი წლის განმავლობაში, 1950 წლის 19 ნოემბრიდან აქამდე, არ ვიცით. იგი ჯერ ისევ საიდუმლოებითაა მოცული ჩვენი საზოგადოებისათვის. მაგრამ მეთაურობას და მთელი ერის თუ არა, მთელი ემიგრაციის კანონიერ წარმომადგენლების როლს, მაინც გაბედულათ ითვისებს.

ასეთია მორალური მხარე ამ „ცენტრის" არსებობის. მაგრამ როგორია მისი იდეური მხარე? ან აქვთ რაიმე ფართო ჰორიზონტი, ფართო სამოქმედო ასპარეზი გამონახული?

აი ეს არის არსებითი.

ამას გვეტყვის ჩვენ განხილვა მათი „დეკლარაციისა". ჩვენ გულდასმით გადავიკითხეთ ეს ახირებული დოკუმენტი და რაც ამოვიკითხეთ, გვინდა მკითხველსაც გაუზიაროთ.

პირველ ყოვლისა თვალში გვეცემათ, რომ „დეკლარაცია" გაურბის საბჭოთა კავშირის ხსენებას, კომუნისტურ ხელისუფლების დასახელებას, თითქოს ეს წყარო მსოფლიო უბედურობისა არც კი არსებობდეს. რატომ? რა მიზნით? ახსნა, ვფიქრობთ, უნდა ვეძიოთ ბ. მანველიშვილის მწირე „ფილოსოფიაში", რომელიც კომუნისტთა უპირატესობაზე ლაღადებს (იხ. „საქ. დამ." №2) და რომელიც ჩვენ წინა ნომერში გავარჩიეთ. სჩანს „ცენტრში" ეს ქება ტოტალიტარიზმის, მისი შედარებითი რეაბილიტაცია (ყველაფერი ამ ქვეყნად შედარებითია), გამხდარა საერთო მოძღვრებათ, რაც თავისუფლების მაძიებელთათვის, მეტი რომ არ ვთქვათ, მიუღებელი უნდა იყოს, მით უმეტეს, ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრეთათვის; იმიტომ, რომ ტოტალიტარიზმი—პრინციპიალური უარყოფაა ერის დამოუკიდებლობის. იგი წარმოადგენს იდეოლოგიას და რეჟიმს ერთი, მცირე ნაწილის, ბატონობისა ერის უდიდეს უმრავლესობაზე სახელმწიფო აპარატის და ტერორის საშვალებით.

აქ ერთი მ უ ჭ ა მართველთა წრე შემოსილია უფლებით, ხოლო უმრავლესობა, ხალხი, უფლება—აყრილია, სუვერენობა—ართმეულია. განა ასეთი მონობისათვის იბრძვის დღეს ქართველი ხალხი? ასეთი მონობისაკენ მოუწოდებს მას ქართული ემიგრაცია? რასაკვირველია არა. მთელი ეს ახალი მოდის იდეოლოგია მოდის არა საქართველოდან, არამედ შექმნილია უცხოეთში, ევროპის ბნელი დღეების და მწვავე შინაგან კრიზისის ნიადაგზე. იგი ძვირათ დაუჯდა თვით ევროპის იმ ქვეყნებს, სადაც ჩაისახა და გაიზარდა და უამრავი, ჯერაც მოუნელებელი ტკივილები მიაყენა ევროპის თავისუფლებას.

ვინც წინეთ გატაცებული იყო ამ მიმართულებით წრფელი მამულიშვილური, პატრიოტული სიყვარულით ჩვენი ქვეყნისა, ის დღეს უეჭველათ მიხვდება იმავე სიყვარულის გრძნობით, რომ ეს გზა ქართველი ერის გზა არ არის და ახალის ძიებას არ დაიზარებს. ვინც დღესაც ამ უკვე დამარცხებულ და მთელი კაცობრიობისაგან დაგმობილ მოძრაობას და დოქტრინას ჩააცივდება იგი ქართული საქმისათვის დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. მისი მამოძრავებელი მოტივები უნდა ვეძიოთ არა ერის ინტერესებში, არამედ ერზე, მის უმრავლესობაზე დიქტატორულათ გაბატონებისადმი მისწრაფებაში.

დღეს დამოუკიდებლობა ერის, უფლება სუ-

ვერენობისა, განუყრელათ გადაჯაჭვულია პიროვნების თავისუფლებასა და ადამიანის ურყევ უფლებათა ხელუხლებლობასთან. სადაც ადამიანი მონაა, იქ ერიც მონობაში ვარდება.

ამ ძირითად პრინციპს ვერ მისწვდომიან ახირებული დეკლარაციის ავტორები, მაშასადამე ვერ მოუძებნიათ თვით ფუძე ერის სუვერენობის და როგორ უნდა შესძლონ მისი განხორციელება? თუ ყალბია საფუძველი, ყალბი იქნება შენობაც მასზე აგებული. როგორიც პრინციპი ისეთი გეგმაც.

მეორე დამახასიათებელი თვისება ამ მხრივ ამ „დეკლარაციის“ შემდეგია: დღეს უდავო ჭეშმარიტებათ არის აღიარებული, რომ დემოკრატია, დემოკრატიული მოძრაობა არის მთავარი და ერთად-ერთი მოპირდაპირე ძალა ჩვენი დამპყრობელი მოსკოვის ხელისუფლების. დეკლარაციაში კი არა თუ ევროპა-ამერიკის დიდი ანტიბოლშევიკური მოძრაობა, — იმედი ჩვენი განთავისუფლებისა, — არ არის მოხსენებული, თვით სიტყვა დემოკრატიაც კი ამოგდებულია მისი ლექსიკონიდან. დემოკრატიასთან გაკარება, სჩანს, ამ „დეკლარაციის“ ავტორთათვის მიუღებელია.

მაშ რა ძალებით ფიქრობენ საქართველოს განთავისუფლებას?

მით უმეტეს არის ეს საკითხავი, რომ მათი კონცეპციით მთელ რუსეთს, მთელ რუსის ერს განუყოფელათ და განურჩევლათ უპირებენ დამარცხებას და განადგურებას. თითქოს სადაო გონივრული ეროვნული პრინციპი მოითხოვდეს ერის ასე ჯიქურ დატაკებას მეორე ერზე. განსაკუთრებით პატარა ერის — დიდ და მრავალრიცხოვანზე.

ასეთი დაპირდაპირება მომდინარეობს ნაციონალისტურ-შოვინისტური, ანტიხალხური იდეოლოგიიდან და არასოდეს იგი ხალხის ფართე მასების ინტერესებს არ ემსახურება. არა თუ სოციალური მოძღვრება შრომისა (მუშებს და გლეხებს რა უნდა ქონდეთ ერთმანეთში გასაყოფი და სადავო, თუნდაც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდენ), — არამედ თვით ნამდვილი ქრისტიანული მორალი სახარებისა, — ყველა ადამიანს, ყველა ერს ანიჭებს თანასწორ ღირებულებას და ასეთ დაპირდაპირებას ეწინააღმდეგება.

მაგრამ ამ თეორიულ მსჯელობას თავი დავანებოთ და გადავიდეთ კონკრეტიულ საგანზე. რა ძალით აპირებენ ას მილიონიან რუსის ერის შემუსვრას? მთელი მათი აზროვნების ძალა მიწვდომია ამ მხრივ მხოლოდ შემდეგ საშუალებებს: „ერთობა შიგნით ქართველთა შორის“ (რომელსაც თვითონ ასეთ გულმოდგინეთ ანგრევენ, რ. ა.), „მსგავსივე ერთობის დამყარება კავკასიელ მეზობლებთან: აზერბაიჯანთან, სომხეთთან და ჩრდილო-კავკასიელებთან. კავშირის დაჭერა ყველა იმ ერთა წარმომადგენლებთან, რომელნიც მსგავსად საქართველოსა, დაპყრობილნი არიან რუსეთის მიერ“ (იხ. „დეკლარაცია“).

რომ დაჩაგრულმა ერებმა ერთმანეთს ხელი მისცენ, ჭირსა და ლხინში მეგობრობა გამოიჩინონ — ეს ბუნებრივია. მაგრამ ამათი ძალა რომ კმაროდეს, განა დიდი ხანია თავისუფლება მოსილი არ ვიქნებოდით.

ეს ელემენტარული ჭეშმარიტება თითქოს ამ „დეკლარაცი“-ის ავტორთაც უგრძვნიათ და ამ ნაკლის შევსებას ცდილობენ. მათ ჩვენთვის და ჩვენებრ დაჩაგრულთა და შევიწროებულთათვის მოუნახავთ მეგობარი და გულშემატკივარი, რომელზედაც „ცენტრი“ დიდ იმედებს ამყარებს. აი ამონაწერი: „მეგობრული ურთიერთობის დამყარება ჩვენს მეზობელ ირანთან და ოსმალეთთან, რომელთა ინტერესებიც მოითხოვს რუსეთის გასვლას კავკასიიდან. და იმედი გვაქვს, ეს უკანასკნელნი, ისტორიული გამოცდილების შემდეგ, მხარს დაუჭერენ საქართველოს და მთელი კავკასიის დამოუკიდებლობას“. ესაა და ეს.

ძალა უნებურიათ იბადება საკითხი: რამ დააობლა ასე მათი აზროვნების უნარი? რამ დაუხშო ასე გონების ძალა?

სჩანს, უდიდესი მსოფლიო ომის ქარიშხალს და დღესაც დაუწყნარებელ მსოფლიოს აბობოქრებულ ტალღებს მათი ყურადღების კარამდე ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია. ისინი და მხოლოდ ისინი ვერ ხედავენ, თორემ თვით ბრმათათვისაც ადვილი შესამჩნევია, რომ თვით უძლიერესი ერები და უდიდესი ტეხნიკით აღჭურვილი სახელმწიფოები ევროპისა და ამერიკის ცდილობენ გაერთიანებას, კავშირის შეკვრას, რომ ჩვენს თავზე დაწოლილ ბუმბერაზს, მსოფლიო საშიშროებათ გადაქცეულს, საერთო ძალით გაუმკლავდენ.

მათთვის რკინის ბალავერის იქით მოქცეული უჩინარი, მაგრამ პოტენციალურათ რევოლიუციური, ამათში თვით რუსის ერის დემოკრატიული ძალებიც, არ არიან ყურადღების გარეშე დატოვებული. ამ „დეკლარაციის“ შემდგენელთ

ყოველივე ეს მხედველობიდან გამოპარვიათ. შოვინისტურ სულის ქროლვას დაუხშვია მათთვის სურვილი საბჭოთა ტირანიის — ამ ერთა თავისუფლების პერმანენტური მტრისა — მოხსენიებისაც კი და წაურთმევია იმის გაგების უნარი, რომ ყველა თავისუფლების მოყვარულნი ამ დიქტატურის დამხობისათვის უნდა იბრძოდნენ განურჩევლათ ეროვნებისა, რათა ქვეყანას თავისუფლება ეღირსოს და დაჩაგრულ ერებს დამოუკიდებლობა.

არ უნდა გაგვიკვირდეს ამის შემდეგ, რომ „დეკლარაციის" შემდგენელნი ერთი სიტყვაც ვერ გამოუნახავთ ამ ძალებთან დასაახლოვებლათ, მათ რიგებში საკუთარი ადგილების მოსანახავათ. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რა უცნაური ავანტიურა იქნებოდა, რომ ჩვენი ბრძოლა მხოლოდ დაჩაგრულ ერთა და ჩრდილოეთ სამხრეთის მეზობელთა ძალის ამარათ ყოფილიყო დაშენებული.

ნურავინ დაგვწამებს, თითქოს ამ ქვეყნებთან კეთილ-მეზობლურ ურთიერთობას ოდნავათ გაბზარვის სურვილი გვალაპარაკებდეს. პირიქით, ჩვენ დიდათ ვაფასებთ მათ მეგობრობას და თანამშრომლობას. მაგრამ არა გვგონია ვინმემ დაგვძრახოს, ან არა მეგობრულ განწყობილებით ჩაგვითვალოს იმ მარტივი აზრის გამოთქმა, რომ მოსკოვის ტირანიის წასაქცევათ, რომელმაც დღეს მსოფლიოს 1/5 მოსდვა თავის კლანჭები, ჩვენ იმათ იქითაც უნდა ვეძიოთ ხსნის გზები და დახმარება, ისე, როგორც ეს მეზობლები ეძებდენ მას ატლანტიკის პაქტსა და ჩრდილო-ამერიკის შტატებთან დაახლოვებაში. ამაში მათი და ჩვენი ინტერესები და გზები ერთი მეორეს ხვდება და ეგუება, სავსებით სოლიდარულია.

ყოველივე ეს ნათელია და უდავო. მაგრამ ამ „ქართული ცენტრის" რამ შემოუზღუდა ასე გონება?

ძალაუნებურათ გვიდგება თვალწინ ჟურნალი „კ ა ვ კ ა ზ ი", სადაც ჩვენი „ცენტრისტები" არიან მოკალათებული თავის რეზოლუციებით და პროტესტებით. ეს გაზეთი ერთად-ერთია, რამდენათაც ვიცით, რომელიც ქადაგებს, რომ მუსულმან ქვეყნებს შეუძლიათ და უნდათ კიდეც ტაშკენტით და კავკასიის გზით შეესიონ რუსეთს და იგი შემუსრონ, რომ კავკასიის ერთა გაერთიანება და სხვა დაჩაგრულ ერებთან ძმობის გაბმა საკმარისია, მათი დახმარების მოსაპოებლათ, ქადაგობს სრულიად უპასუხისმგებლოდ და განუკითხავად. მაგრამ ეს ჟურნალი ხომ უფრო პოლიციური ორგანოა, ვინემ პოლიტიკური. და მისი ასეთი უპასუხისმგებლო საქციელი, დარწმუნებული ვართ, არც იმ სამხრეთელ მეზობლებს მოსწონთ, რომელთა წყალობას იგი ასე გულუხვათ გვპირდება. ბამატ-კანტიმირები არასოდეს ყოფილან ქართველთა და მის მეზობელთა გამაერთიანებელ ხიდათ, გამარღვევლათ კი ხშირათ. და ასეთ ხალხს ენათესავება ჩვენი „ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი" მათი „იდეების" ფარგლებში მომწყვდეული.

ამ რიგათ, ჩვენი დასკვნაა: ეს „ცენტრი" მიუღებელია და უბადრუკი თავის პროგრამით, პოლიტიკური მრწამსით, იდეური და ორგანიზაციულ წყობით, ისე როგორც მიღებულია თავის შემადგენლობით, რადგან გარდა ერთი პარტიისა, შეიცავს მხოლოდ უპასუხისმგებლო კერძო პირთ, რომელნიც არავის არ წარმოადგენენ.

ეს არის „ცენტრი" არა ერთობის, არამედ გათიშვის, დარღვევის და განხეთქილების.

რ. არსენიძე

## მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

**ახალი აზერბაიჯანი.** ახალ ემიგრაციასთან დაახლოვებამ, ვფიქრობთ, უდავოთ გამოაჩინა, საბჭოთა წყობილებაში გამოვლილ თაობის განსაკუთრებული საზოგადოებრივ აზროვნების და ფსიქოლოგიური განცდების თავისებურება. მათ ასვია დაღი საბჭოთა მახინჯი წყობილების. მაგრამ შეცდომა იქნება გვეფიქრა, რომ ბოლშევიკურ სულის ბორკილებს არ ხვდება შინაგანი წინააღმდეგობა განაწამები ხალხის. ახალ ემიგრანტთა ნაწერები, მოგონებანი და მათი პოლიტიკური მოთხოვნილებათა ფორმულები გვაძლევენ ამის უტყუარ საბუთს. ყველა ლტოლვილთა ადამიანურ მასალებს ჩვენ ვერ მოვათავსებთ ჩვენს ჟურნალში უადგილობის გამო. მაგრამ ახლო მეზობლების ფსიქოლოგიის და აზროვნების ნამუშევარის გაცნობა კი, ვფიქრობთ, ყველასათვის საგულისხმიერო იქნება.

ამ მხრივ დიდათ საინტერესოა ახალი ჟურნალი, რომელიც მიუნხენში გამოდის, სახელწო-

დებით „აზერბეიჯანი". ეს გამოცემა საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ ვისბადენის პოლიტიკურ ხაზს იზიარებს, არამედ უფრო მეტად იმით, რომ გვაცნობს ჩვენი მეზობლების ახალ თაობის სულისკვეთებას და მისწრაფებებს რომელიც კომუნისტურ წყობილებასთან უშუალო ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბებულია.

ამ მხრივ დიდ მასალას იძლევა ამ ჟურნალის № 1-ში მოთავსებული ბ. ფატალიბეის „ანგარიში აზერბეიჯანის ხალხს" აზერბეიჯანელ ტყვეთა და პოლიტიკური ხელმძღვანელთა ბრძოლისა მეორე მსოფლიო ომის დროს.

ამ ანგარიშიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ მათ ტყვეთა მებრძოლ რაზმებს და მათ მეთაურებს შეუქმნიათ „მეჯლისი ეროვნულ ერთობის". ამ მეჯლისს ყველგან და ყველაფერში დაუცავს თავისებურება თავის ქვეყნის სახელობისა, დაუსახავს განსაკუთრებული მიზნები, რომელიც მას ასულდგმულებდა და რომელსაც არც ჰიტლერი - როზენბერგის იდეოლოგიის აცხია რაიმე, არც უცხოეთის სხვა წრეთა გავლენის. აღსანიშნავია მისი შეხედულებიდან ის გარემოება, რომ ეროვნება ესმის არა როგორც ერთმორწმუნეთა კრებული, არამედ როგორც ერთი წარმოშობის და ერთი კულტურულ - საზოგადოებრივი ერთეული. სარწმუნოებრივი ფანატიზმის ადგილი უკავია ყველა სჯულისადმი პატივისცემით მოპყრობას, ეროვნებათა შორის თანასწორობას, არავითარი, თუნდაც სიტყვიერი, ანტი - სემიტობა (რაც ჰიტლერის გერმანიის ხანაში განსაკუთრებით საყურადღებოა), ერთი სიტყვით თანამედროვე განათლებულ ერის ყველა თვისებების მკაფიოთ გამოხატული, ელემენტები; კავკასიის ერებთან ერთად განურჩევლათ დიდი ლტოლვილობა საერთო მოქმედების და საერთო ბედის გამოჭედის, სხვა ერების მიმართ ყოველგვარ დაპირდაპირებისა და მტრობის გარეშე. ერთი სიტყვით კავკასიის სოლიდარობა — როგორც ნაწილი საერთაშორისო მსოფლიო სოლიდარობის, აი მათი ლოზუნგი.

არა ნაკლებ საყურადღებოა მათი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც 1943 წელს მიუღიათ კონგრესზე. იგი ერთნაირად ბოლშევიკური რეჟიმის ნიადაგზე აღმოცენებულად სჩანს და ამ რეჟიმის ნაკლისა და ბოროტებას უპირდაპირდება. გვინდა მკითხველმაც ეს პროგრამა ნახოს, ამიტომ ვათავსებთ უმთავრეს ნაწილს.

მეჯლისი მიზნათ ისახავს:

1. ბოლშევიზმის მოსპობას და დამოუკიდებელ აზრებაიჯანის სახელმწიფოს აღდგენას, რომელიც კავკასიის გაერთიანებაში იქნება შესული.

2. შექმნას კავკასიის ყველა ერებთან მეგობრულ თანამშრომლობაში ახალი აზერბაიჯანი უბოლშევიკოთ და უექსპლუატატორებო.

ახალი აზერბეიჯანი უნდა აეგოს შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

1. უზრუნველყოფა ყველა მშრომელთათვის თავისუფალ მუშაობის შესაძლებლობისა და პირადი, პატიოსანი შრომით გამდიდრებისა.

2. ლიკვიდაცია კოლხოზების და მიწის გადაცემა გლეხებისათვის.

3. ხელის შეწყობა მეცნიერებისათვის: შექმნა სამეცნიერო - ტეხნიკურ და ხელოვნების დარგში მომუშავეთათვის ყველა პირობებისა თავისუფალ შემოქმედებისათვის.

4. დაარსება აზერბაიჯანის სამეცნიერო აკადემიის; უფასო სწავლება დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში; სტუდენტთა უზრუნველყოფა სახელმწიფო სტიპენდიით.

5. აღდგენა ბოლშევიკებისაგან გათელილ ეროვნულ კულტურის და ენის.

6. უზრუნველყოფა სიტყვის, ბეჭდვის, სვინდისის, სარწმუნოების, კრებების თავისუფლების.

7. უზრუნველყოფა ომის ინვალიდთა ოჯახების და შრომის უნარი დაკარგული მუშების.

8. განდევნა ექსპლოატაციის ყოველგვარ სულ მცირე გამოხატულების.

9. ქალაქების და სოფლების გარდაქმნა, გაშენება აგარაკების, გზების, ჰიდრო - ელექტრონის სადგურების და საერთოდ ყოველგვარ ღონისძიებათა მიღება, რომელიც ხელს შეუწყობენ ხალხის კულტურის და კეთილ - დღეობის სწრაფ ზრდას და მოკლე დროში გარდაქმნიან აზერბაიჯანს აყვავებულ ბედნიერ ქვეყანათ"...

შემდეგ გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ კლასიური მტრობას თავის ტერორით, შურისძიებით, გადასახლებით და სხვა საშინელებით არ უნდა ექნეს ადგილი; უნდა იყოს ერთიანი მშრომელი აზერბეიჯანის ხალხი, რომელიც სიყვარულით მიიღებს ყველა თავის შვილებს, ძველ შეცდომებს არ გაუხსენებს, მოყვარულათ შეხვდება ყველა სხვა ერის შვილებსაც, გამოუკლებლივ დაიცავს ყველას ღირსებას და პატივს და სხ.

მკითხველი თვითონ მიხვდება, რომ ყველა ეს მიმართულია ბოლშევიკური სინამდვილის წინააღმდეგ და მის მიერ მიყენებულ ტკივილებს ებ-

რძვის, არა რაიმე ევროპიული დოქტრინით, არამედ ზოგადი კაცობრიული მისწრაფებებით, თუმცა ბევრგან ბოლშევიკური ფრაზეოლოგიის ფორმებით გამოხატულით.

***

**„ივერია“-ს რეკორდი.** ამასვე ვერ ვიტყვით ჟურ. „ივერია“-ზე, მისი მე-4 ნომერი სავსეა სიყალბით, პირად ინსინუაციებით და განძრახ დამახინჯებული ფაქტებით. გადახედეთ, თუ შეგიძლიათ მის მოყვანილ რეზოლუციებს, შემოკლებით თუ მთლიანად მოყვანილთ: ზოგი 16 სექტემბრის თარიღს ატარებს — როცა ჩვენი ორგანიზაცია მზადების ფაზისში იმყოფებოდა; ზოგი შტუტგარდის, ან უფრო ადრინდელ მოვლენებს ეხებოდა და სხ. შთაბეჭდილება კი ისეთი გრჩებათ, რომ მთელი ქვეყანა ჩვენს წინააღმდეგ ყოფილა ამხედრებული.

უმრავლესობა ამ რეზოლუციების ამოღებულია ჟურ. „კავკაზი“-დან, რომელიც მათი საზრდოს მიმწოდებელი გამხდარა. სხვა წყაროებიდან მოყვანილია შემოკლებით და ნამდვილი აზრის დამახინჯებით. რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ, შევეხებით მხოლოდ ერთს, მიუნხენის კომიტეტის მოწოდებას.

ჩვენ მისგან ამოვიღეთ არსებითი ნაწილი, იდეური სახის მქონე (მუხ. 5) და ის გავარჩიეთ. თავი ავარიდეთ ისეთ რეპლიკებს, რომელნიც ლიტერატურულად მდაბალი დონისების იყვნენ და თვით ავტორების დამამცირებელი. „ივერია“-ს რედაქციას კი სწორედ ეს მეხუთე მუხლი გამოუტოვებია, ხოლო რაც ჩვენთვის გასაკარებელი არ იყო, ის ამოუწერიათ. აქვეა გამოყენებული სხვა შემოკლებული რეზოლუციებიც.

ქათამი ცნობილია, მოგეხსენებათ, ეზოში რომ შევა, უწინარეს ყოვლისა, სანაგვეს მიადგება. „ივერია“-ში განათლებული ხალხი ზის და მათ უფრო მეთოდიური მუშაობა შეუძლიათ, სხვის სანაგვედანაც თავის ეზოში გადმოაქვთ და ნახველებს, ანუ მკითხველებს, აწოდებენ გასართობად და გულის გასახარებლად. ამ შემთხვევაში მათ რეკორდით ბ. კანტემირის, უკაცრავად პასუხია, პრესაც კი გადააჭარბეს.

ჩვენ ამას აღვნიშნავთ, როგორც ნიმუშს ლიტერატურული დაქვეითებისა. შინაურ პარტიულ ბრძოლაში კლასთა დაპირდაპირებაში ასეთ გამოსვლებს შევხვედრივართ. იქაც ეს დასაგმობია, თუმცა იქ ბრძოლა სწარმოებს ერთმანეთის დასამარცხებლად, ხოლო ეროვნულ საგარეო ფრონტზე ბრძოლის პროცესში ასეთი მეთოდით გამოლაშქრება შინაური წრის წინააღმდეგ — ეს ორკეცი დანაშაულია, როგორც კულტურულად და ლიტერატურულად დამდაბლებული, ისე ეროვნული მთლიანობის დამარღვეველი და, მაშასადამე, ეროვნული ბრძოლის დამასუსტებელი. ასეთ „პატრიოტიზმს“ ჩვენ ვერ ავყვებით.

***

**ფორმულა ნაციონალისტური.** მაგრამ არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი ადგილი ბ. ვიქ. შუბლაძის წერილიდგან: — „ჩვენ და ისინი“. ეს წერილიც სავსეა პიროვნული ხასიათის ინსინუაციებით, ქუჩაში მოგროვილი თუ საკუთარი ფანტაზიით შეთხზული „სენსაციური ამბებით“ და ჩვენ სრულიად არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ შიგ არ იყოს ერთი ისეთი დებულება მოყვანილი, რომელსაც, გარეგნულად მაინც, აქვს ფორმა სერიოზული დებულების.

„ჩვენ პირველ და აუცილებელ პირობათ და უახლოეს მიზნათ მიგვაჩნია რუსული იმპერიალიზმის უშუალო ლიკვიდაცია, რომელიც ერთად-ერთი გარანტიაა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა თავისუფლებისა“ — ხაზგასმით აცხადებს ავტორი და ცოტა ადრე კი ჩვენ გვისვამს საკითხს: „რატომ მარტო რეჟიმის ლიკვიდაცია და არა რუსულ უძირო იმპერიალიზმის?“-ო (იხ. გვ. 19).

ამის შემკითხავმა არ იცის რას ამბობს და თავის გაუგებრობით შეუძლია სხვებსაც გაუგებრობა დაუბადოს, ამიტომ ჩვენ მკაფიოთ ვუპასუხებთ: ჩვენ გადაჭრით და კატეგორიულად ვებრძვით რუსულ იმპერიალიზმს, კიდევ მეტი — ვებრძვით **ყოველ** იმპერიალიზმს, ყოველი ფერისას. მაგრამ ესმის კი კარგად ამ შეკითხვის დამსმელს, რა არის იმპერიალიზმი? იმპერიალიზმი არის დაპყრობა და ექსპლოატაცია უცხო ერის და უცხო ტერიტორიის. ეს ხდება **დღევანდელ** სინამდვილეში ორი საშუალებით: ა) იარაღით, ე. ი. დაპყრობით და თავის მორჩილებაში ჩაყენებით; ბ) ეკონომიური საშუალებებით, ე. ი. ვაჭრობით, იაფი საქონლის მიწოდებით, კაპიტალის შეტანით. ორივე ფორმის იმპერიალიზმი ტარდება სახელმწიფოს საშუალებით. სახელმწიფო ამიტომ ყველგან ატარებს ცოტათ თუ ბევრათ იმპერიალისტურ ელემენტებს.

„უშუალო ლიკვიდაცია იმპერიალიზმის“ ნიშ-

# აკაკი ჩხენკელის მოგონებებიდან

(წაკითხული 30 სექტემბერს 1951 წ.)

## I

## ავტოკეფალიის აღდგენა

რუსეთის მიერ საქართველოს ორჯელ მითვისების ანუ ანექსიის შესახებ მე არ მჭირია შევჩერდე ქართველი ერის დღევანდელ სულისკვეთებაზე, რომელსაც თვითეული ჩვენგანი ისე გრძნობს, ვითომ ეს საერთაშორისო ბოროტება მომხდარიყოს გუშინ და არა საუკუნე-ნახევრის ან კიდევ თითქმის მესამედ საუკუნის წინ.

საჭიროა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო როგორი **თანდათანობით და დიდი, დიდი განცდების** შემდეგ მოხდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა.

ჯერ იყო და, როგორც მოგეხსენებათ, 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის დასაწყისშივე ქართველთა სასულიერო წოდების და მორწმუნეთა ყრილობამ რევოლიუციურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მცხეთის ისტორიულ ტაძარში აირჩია სრულიად საქართველოს პირველი კათალიკოზი - პატრიარქი კირიონი.

შემცდარი ვიქნებოდით გვეფიქრა, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდი ან კიდევ დროებითი მთავრობა გულგრილად შეხვდა ამ დიდ - მნიშვნელოვან ფაქტს, — პირიქით, ერთიცა და მეორეც დიდის სიბეჯითით ებრძოდა მას.

კიდევ უფრო შემცდარი ვიქნებოდით გვეფიქრა, ვითომ ქართული რევოლიუციური ძალები, განურჩევლად პარტიათა და მსოფლმხედველობის, არ თანაუგრძნობდა და თავიდანვე მხარს არ უჭერდა ავტოკეფალიის აღდგენას.

ასე წარმოიდგინეთ, თვით ბოლშევიკური გარდატეხის წინადღეებში, ეგრ. წოდ. პრედპარლამენტის შექმნის დროს, მე იძულებული გავხდი წამეყვანა ირაკლი წერეთელი, დრ. მთავრობის წევრი, რომელიც უფრო თავრიდის, ვინემ საზამთრო სასახლეში მუშაობდა და იქვე იძინებდა, უწმინდესი სინოდის უკანასკნელ ობერ-პროკურორთან, სახელდობრ — ბ. კარტაშევთან... და აქედან თქვენ, ბ.ბ., უთუოდ დაასკვნით, რომ ისე ჩაესვენა თებერვლის რევოლიუციის მზე — ეს დავა კიდევ არ იყო მოგვარებული.

კიდევ მეტი, ამიერ - კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ, ო-ზა-კომი, რომელმაც შესცვალა მეფის ნაცვალი და მის სასახლეში ცხოვრობდა, ავტოკეფალიის გამოცხადების გამო სახტად დარჩაო, მეუბნებოდა განსვენებული კიტა აბაშიძე, ერთ-ერთი მისი წევრი ჩემთან ერთად.

ო-ზა-კომი შესდგებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისაგან ამიერ - კავკასიიდან: პაპაჯანიანი, ჯაფაროვი, თქვენი უმ-

ნავს სახელმწიფოს გაუქმებას. ამ მიზნის დასახვა ნიშნავს ამიტომ ერთ ერზე სამკვდრო - სასიცოცხლო შეტაკებას, ე. ი. დაუთავებელ ომს, სანამ ესენი მოპირდაპირეთაგან საბოლოოდ არ ამოწყდება. ეს არის შოვინიზმი და სიგიჟე ერთად და იმავე დროს. განა სასარგებლოა და გამოსადეგი ეს საქართველოსთვის? ჩვენ ამ ჟამად საქმე გვაქვს სამხედრო იმპერიალიზმთან. ესაა არსება რუსული დღევანდელი იმპერიალიზმის. ევროპის დემოკრატიის დიდმა სახელმწიფოებმა ასეთ იმპერიალიზმზე ხელი აიღეს: მე-19 საუკუნის პოლიტიკა შეაჩერეს, ახლა კოლონიებს ანთავისუფლებენ, ერებს დამოუკიდებლობა აღუდგინეს. ინდოეთი, პაკისტანი, ცეილონი, ბირმანი, სირია, ლიბანი და ფილიპინის კუნძულები და სხვა ამის საუკეთესო მაჩვენებელია.

მაშასადამე, დემოკრატიულ წყობილებაში რეჟიმის საკითხი არ დგას ეროვნულ განთავისუფლების თვალსაზრისით. ის შეიძლება მიღწეულ იქნეს რეჟიმის დაუნგრევლად. ასეთია ბუნება დემოკრატიის. შეიძლება ეგევე მოხდეს საბჭოთა კავშირში? რასაკვირველია არა. კომუნისტური დიქტატურა ერთი პატარა წრის ბატონობას წარმოადგენს რუსეთის ერებზე და სხვა ერებზედაც. იგი იარაღით იპყრობს თავის ერს და გარეშეებსაც, უამისოთ მას არსებობა არ შეუძლია. აქ რეჟიმი თვით არსებით არის იმპერიალიზმის სრული გამომხატველი: ერთი უდრის მეორეს. აქედან დასკვნა: ერთა განთავისუფლება წარმოუდგენელია, სანამ ეს რეჟიმი არსებობს. ამ რეჟიმის დანგრევა პირობაა ერთა განთავისუფლების, ასეთია თავისუფალი და კულტურული კაცობრიობის საერთო აზრი დღეს. ასე ვფიქრობთ ჩვენაც.

რ. ა.

ორჩილესი მონა და მეოთხე დონის კაზაკი მემარცხენე კადეტი ხარლამოვი თავმჯდომარედ იყო დანიშნული. გამონაკლისს წარმოადგენდა მეხუთე წევრი კიტა აბაშიძე, რომელიც მთელი მხარის განათლების საქმეს განაგებდა.

შინ დაბრუნებისას მე მომეცა მანდატი, გარდა დროებითი მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეთა ხელმოწერით, პეტროგრადის უძლიერეს მუშათა საბჭოს თავმჯდომარე — კარლო ჩხეიძისაგან, და ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ო-ზა-კომში მე წარმოვადგენდი, ასე ვსთქვათ, რუსეთის რევოლუციას, აქედან — ამიერ-კავკასიის რევოლუციასაც, რადგან თბილისში ბატონობდა ადგილობრივი მუშათა საბჭო ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელიც თავმჯდომარეობდა აგრეთვე ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობას; ამასთანავე იქ არსებობდა ჯარის-კაცთა ალმ. კომ-ც ჩვენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

მაშასადამე, თქვენ არ უნდა გაგიკვირდეთ, ბატონებო, თუ ვიტყვი, რომ ჩემი დაუდასტურებლად ვერც ერთი დადგენილება ვერ გავიდოდა ო-ზა-კომში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხშირად მიხდებოდა ამ უფლების მოხმარა, — არა! ო-ზა-კომის წევრები — მოწინავე პარტიათა, მეგობრულად მუშაობდენ.

და ეს მით უფრო, რომ მეფის-ნაცვლის სამოქალაქო და სამხედრო — სახალხო ვეება კანცელარია ჩემს ხელით იყო და ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობა, თუ გნებავთ — **ინერციულად** აქედან ხდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩამოსვლისას მაშინვე მთხოვეს მეშველა კათალიკოზის უმაღლესმა საბჭომ, ერთის მხრით, და მისმა მეთაურებმა, მეორეს მხრით: კირიონ პირველს მე კიდევ კიევიდან ვიცნობდი, სადაც ის პეჩორის ლავრაში იყო „გამაგრებული" ეპისკოპოზის ხარისხით; არქიეპისკოპოზი ალექსი გიორგაძე ნათესავიც კი იყო ჩემი, ხოლო მომავალი კათალიკოზი ამბროსი — ბესარიონ ხელაია მღვდლობაში, სულ ახლო მეგობარი იყო აფხაზეთიდან, სადაც ის ცნობილი ილორის ტაძრის მოძღვარი იყო. გაგეგონებათ, იმედია, ილორის გალავანი ძველიდანვე მთელი საქართველოს და **ლაზისტანის** ცხვარ-მოზვერებით გაიმსებოდა ხოლმე მის დღეობაზე!

რაში გამოიხატებოდა მათი გაჭირვება? თბილისში, გეცოდინებათ, ბევრი გაშავრაზმელებული ხუცობა იყო: მუქარას-მუქარაზე უთვლიდენ მღვდელ-მთავრებს, ასე წარმოიდგინეთ, თვით საქართველოს ეგზარხოს პლატონსაც კი! ამ უკანასკნელმა პირადად მომმართა თხოვნით, უვნებლად გამესტუმრებინა რუსეთში. მე ეს შევასრულე და კათალიკოზი კირიონი სიონის ვიწრო, მგონი, სადიაკვნო ბინიდან ეგზარხოსის სასახლეში გადავიდა.

მაგრამ თბილისშივე ბინადრობდა შავრაზმელთა უძლიერესი მფარველი, მთელი კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი ბოლხოვიტინოვი, და ეს კი ხარლამოვის თანხმობით გავაძევე ამიერ-კავკასიიდან. მისი ადგილი დაიჭირა გენერალმა მდივანმა.

უწმინდესმა სინოდმა გამომძიებელიც კი გამოგზავნა, გვარი არ მახსოვს, და მთელი თვეები მოსვენებას არ აძლევდა ჩვენს სამღვდელოებას... ერთხელ კიდეც ველაპარაკე მას, არ მახსოვს, თვითონ მომმართა თუ მე დავიბარე. გახსოვთ ვეკითხებოდი მას, სხვათა შორის, თავ. ჟუხლომსკის წერილები „პეტერბურგის ვედომოსტში", სადაც ის ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესია გაცილებით უხუცესია რუსეთის ეკლესიაზე — მეთქი, და ვასკვნიდი, ჯერ მოსკოვის პატრიარქატი აღადგინეთ და შემდეგ ელაპარაკეთ საქართველოს პატრიარქს მეთქი.

## II

## ქართველი ერის პირველი ყრილობა

მოგეხსენებათ, ქართველმა თავად-აზნაურობამ საჩუქრად უძღვნა ქართველ ერს მთელი თავისი კორპორატიული ქონება. ეს მე პირადად მაცნობა მისმა მარშალმა განსვენებულმა კოტე აფხაზმა, 1917 წ. ზაფხულის დასაწყისს, შემდეგი სიტყვებით: „რუსეთის რევოლუცია ისეთ სახეს იღებს, შეიძლება არ დაჯერდეს ქვეყნის ბატონობას და ჩვენი ქონებაც მიითვისოს; ამიტომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ განიზრახა საჩუქრად მიართვას ქართველ ერს მთელი მისი კორპორატიული ქონება, როგორიცაა: ბანკი და მასზე დარჩენილი მამულები, რკინისგზა და სხ. იმ იმედით, რომ რუსის რევოლუციონერები მოერიდებიან ხელი ახლონ ერის საკუთრებას".

და სწორეთ ამ დროს ხდება დროებითი მთავრობის კრიზისი: ლვოვ-მილიუკოვის მთავრობის ნაცვლად კერენსკი-წერეთლის მთავრობის შედგენა და სახელმწიფო თათბირის მოწვევა მოსკოვში.

პეტროგრადის მოთხოვნით ო-ზა-კომი მგზავ-

ნის მე ადგილობრივ ეროთა დელეგატად მოსკოვს. არ ვეხები ჩემს თუ სხვების გამოსვლებს ამ თათბირზე, არც პეტროგრადის დემოკრატიულ ყრილობაზე.

ვიტყვი მხოლოდ, როცა თბილისს დავბრუნდი, ოი-ზა-კომი გამქრალიყო და მის ადგილას ამიერ-კავკასიის კომისარიატი დამხვდა ევგ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით, ხოლო მე შინაგან საქმეთა კომისრად დავენიშნეთ.

მაშასადამე, ვუბრუნდები ისევ მეფის-ნაცვლის კანცელარიას, სადაც სხვათა შორის, იწყება ერობათა ახალი წესდების შედგენა კიდევ ცარიზმის დროს დანიშნულ არაჩვეულებრივი სპეცის ლიზოგუბის ხელმძღვანელობით, რომელიც უფრო გვიან უკრაინის პირველი პრემიერი გახდა.

მაგრამ კერძოდ საქართველოსთვის გაცილებით უფრო საშური კითხვა იდგა წეს-რიგში: მოვიწვიოთ თუ არა ქართული ერის დიდი ყრილობა თავად-აზნაურობის ნაჩუქარი ქონების ჩასაბარებლად? ქართული რევოლიუციური ძალები ცხარეთ ეკამათებოდენ ერთმანეთს ამ საგანზე. მომხრენი გაიძახოდენ, აბა რაა აქ სათაკილო, ვიწვევთ ყრილობას რათა ქონება ჩავიბაროთ; მოწინააღმდეგენი გაიძახოდენ, ეს გამოთიშვაა მეზობელ ერებისაგან, უკიდურესი ნაციონალიზმიო...

მაგრამ სწორედ ამ დროს ხდება ბოლშევიკური გადატრიალება პეტერბურგში და სასწორი მომხრეებისაკენ იხრება: წყდება ყრილობის მოწვევა!

და აქ კი უნდა აღვნიშნო ნოე რამიშვილის სრულიად განსაკუთრებული როლი ამ საქმის დასაგვირგვინებლად, რაიცა კიდევ ვახსენე გაკვრით მისი ვერაგულად მოკვლის 20 წლის თავზე. ჩემ ხელ-ქვეით არსებული ადმინისტრაცია ამ დიდ როლს წამდაუწუმ აღნიშნავდა თავის ბიულეტენში, პირველი შეხედვით, თვით მიუვალ ადგილებიდანაც!

1917 წ. 22 ნოემბერს გახსნილ იქნა სრულიად საქართველოს ყრილობა, რომლის მზგავსი არც კი დაგვზმანებია!

იყვნენ წარმომადგენელნი ყველა პარტიებიდან, საზოგადოებრივ თუ საქველმოქმედო დაწესებულებებიდან, ქალაქთა და სოფელთა თვითმართველობიდან, ყველა პროფესიებიდან, არ ვიცი კიდევ ვისგან, ყველა კუთხიდან, მთა და ბარიდან, მათ შორის, აფხაზეთიდან, აჭარიდან, საინგილოდან...

თბილისის სახაზინო თეატრის ყველა ლოჟები გაჭედილია მეზობლების წარმომადგენლებით ხშირათ მათი ოჯახობით, აგრეთვე თერგი-ყუბანის შემთხვევით დამსწრეებით, ხოლო „ბალკონები“ ხომ სავსეა დილა-ადრიანად მოსული ხალხით, რომელიც საათობით უცდის ზეიმის გახსნას.

დიდ ყურადღებას იქცევს მარჯვენა და მარცხენა სეფე-ლოჟები, პირველში ზის დიპლომატიური კორპუსი, მეორეში კათალიკოზი თავის ამალით: მათ რიგიდან პასუხიც გასცეს ყრილობის გამხსნელ მისალმების სიტყვას.

პარტერზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი, ხალხის ტევა არ არის, უკან ფეხზე მდგომთ აბა ვინ დათვლის!

ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო, თუ დღესაც ვამაყობ, რომ საქართველოს ამ დიდებული, ჯერ უნახავი ყრილობის გახსნა მე მხვდა წილად!

იწევს ნელ-ნელა ფარდა, ახსოვთ ახალგაზდებსაც რა მაღალია სცენის ჭერი, და აქ რომ მიაწია, აფრიალდა საქართველოს ძლევამოსილი ვეება დროშა! გაისმის ტაში, დაუსრულებელი ოვაციები, სიხარულის ტირილიც, ნუ გგონიათ — მარტო ქალების!

ყრილობამ ერთხმათ თავმჯდომარეთ ნოე ჟორდანია აირჩია, ის უკვე იჯდა ჩემს გვერდით.

თავმჯდომარის მოკლე საზეიმო სიტყვის შემდეგ, ყრილობა ისმენს თქვენი მორჩილი მონის მოხსენებას თავად-აზნაურობის ნაჩუქარი ქონების შესახებ, რომელსაც უკამათოთ უმალ ამტკიცებს.

ორიოდე დღის მუყაითი და მეთოდიური მუშაობის შემდეგ ყრილობა აირჩევს მრავალ-რიცხოვან ქართველთა ეროვნულ საბჭოს იმავე ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელიც 1918 წ. 26 მაისს აქვეყნებს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და თვით საბჭო საქართველოს პარლამენტად აცხადებს თავის თავს და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით შეუდგება სამზადისს საქართველოს დამფუძნებელი კრების მოსაწვევად.

საფრანგეთში, რომელსაც ჩვენს მეორე სამშობლოდ ვთვლით, უთუოდ წაუკითხავთ ჩვენს თანამემამულეთ აქაური დიდი რევოლიუციის 1789 წლის 4 აგვისტოს დაუვიწყარი სხდომის წოდებათა დეპუტატები: ერთი მხრით, მიწად-მფლობელთა დიდი ფეოდალების და კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლონდონის კონფერენცია ევროპიულ მოძრაობისა

**(მიღებული ცნობებიდან)**

როგორც ვიცით, ევროპის მოძრაობამ, რომელსაც ევროპის სახელმწიფოთა კონფედერატიული გაერთიანება აქვს მიზნად დასახული, ერთგვარ შედეგებს მიაღწია. შეიქნა ევროპის საბჭო, რომელიც შესდგება მინისტრთა კომიტეტისაგან და სათათბირო კრებისაგან. პირველში შედიან საგარეო მინისტრები დასავლეთ ევროპის თავისუფალ სახელმწიფოების. მეორეში პარლამენტებისაგან არჩეული დეპუტატები. მაგრამ ევროპის გაერთიანება ვერ იქნება სრული, თუ მასში არ იღებს მონაწილეობას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც. ამ სახელმწიფოების დიდი ნაწილი კი საბჭოთა რუსეთის სატელიტებს წარმოადგენენ და რკინის ფარდით არიან ჩამოშორებული. ამიტომ მიღებულ იქნა ზომები დაეახლოვებიათ ამ ქვეყნის ლტოლვილთა სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწენი და ამ მიზნით ეს უკანასკნელნი მოწვეულ იქნენ ევროპის მოძრაობის კონფერენციაზე, ჰააგაში 1948 წელს და ლონდონში 1949 წელს. ხოლო შემდეგ ამავე მიზნით, 1950 წლის იანვარში, დაარსებულ იქნა „აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის სექცია ევროპიულ მოძრაობისა“. მალე ეს სექცია გადაიქცა ამავე სახელწოდების კომისიად, რომელშიც შედიან „რკინის ჯებირს“ იქით მდებარე ცხრა სახელმწიფოს გადმოხვეწილთა წარმომადგენელნი: ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ლიტვის [illegible] ] და ესტონიის. ამათ ემატება დასავლეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწენი, უმთავრესად დემოკრატიული მიმართულებისა.

ამ მოძრაობას აქვს ერთი ნაკლი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ევროპის ფედერატიული მოძრაობა ნებით თუ უნებლიეთ უპირდაპირდება საბჭოთა ექსპანსიას და მის წინააღმდეგ არის მიმართული და, რასაკვირველია, მის შემოსვლაზე ამ კონფედერაციაში არც კი ოცნებობს; ამიტომ მისთვის ევროპა თავდება პოლონეთის და ბალტიის სახელმწიფოთა აღმოსავლეთ საზღვრებზე. მაგრამ, ამით გამოთიშული დარჩა არა მარტო რუსები, არამედ ბევრი სხვა ერებიც, რომელთაც ამ აგრესიის საშიშროებაში წილი არ უდევს: დავასახელებთ თუნდ ბელორუსიას, უკრაინას, საქართველოს და სხ. ნაკლად უნდა ჩაეთვალოს ისიც, რომ კომუნისტურ დიქტატურასთან ბრძოლის პროცესში პრინციპი თვითგამორკვევის მიუყენეს მხოლოდ სახელმწიფოებს და არა ამ სახელმწიფოში მოქცეულ პატარა ეროვნებებს, ანუ ეროვნულ უმცირესობებს; ამ რიგათ შემდგარმა კომისიამ, რომელიც თავისი არსებით ანტიკომუნისტურია, მიზნად დაისახა ისეთი სამუშაო გეგმის დამუშავება, რომელიც მის შემადგენელ ერთა დღევანდელ მდგომარეობას და საერთოდ ევროპის პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოსაზრებებთან შეგუებას შეეფერებოდა. ამიტომ კომისიის პირველი ამოცანა გახდა შემუშავება ძირითადი საფუძვლებისა აღმოსავლეთ ევროპის აღმაშენებლობითი საქმიანობისა და ეკონომიური აღორძინებისათვის იმ დროიდან, როცა ეს ქვეყნები განთავისუფლებულ იქნებიან კომუნისტთა ბატონობისაგან.

მეორე, მისი ამოცანა იყო გაეცნო დასავლეთ ევროპისათვის ამ ქვეყნების მიზნები და მისწრაფებანი ე. ი. პოლიტიკური პროპაგანდის გაწევა მათი განთავისუფლების სასარგებლოდ. ამ ნიადაგზედ წარმოებულმა მუშაობამ ის შედეგი მოიტანა, რომ სტრასბურგში შეკრებილმა „ევროპის სათათბირომ“ გადასწყვიტა დაეარსებია „სპეციალური კომიტეტი“, რომელსაც დაევალა ამ ქვეყნების ინტერესებისათვის ყურადღების მიქცევა და მაზედ მზრუნველობა. ეს კომიტეტი დაარსდა 1950 წელს და შესდგება „ევროპის სათათბიროს“ წევრთაგან ე. ი. ფაქტიურათ ევროპის პარლამენტების წევრთაგან. აქტი

---

დინალ-არქიეპისკოპოზებია (რევოლიუციის, ნაპოლეონის და ბურბონების უბადლო დიპლომატი ტალეირანი მაშინ ხომ ეპისკოპოზი იყო!), და მეორე მხრით, გლეხების, მუშების, ხელოსნების და დაბალი სამღვდელოების, ვ იმეორებ, წოდებათა ორივე ბანაკის მოქიშპე დეპუტატები ერთმანეთს შეურიგდენ და თავის თავი საფრანგეთის ნაციონალურ კრებად ანუ პარლამენტად გამოაცხადეს.

დიახ, ბატონებო, საქართველოს თავად-აზნაურობას და ყველა დანარჩენ წოდებათ ჰქონდათ თავისი 4 აგვისტო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი არ დამთავრებულა ვანდეით და ტერორით! (დასასრული შემდეგ)

**აკ. ჩხენკელი**

ამ კომიტეტების შექმნისა — ეჭვი არ უნდა, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი წარმოადგენს ოფიციალურ ორგანოს, რომელიც წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით უდგება „აღმოსავლეთ ევროპის“ პრობლემის გადაჭრას. ამავე დროს ეს „სპეციალური კომიტეტი“ თუ გნებავთ კონკრეტიული გამოხატულებაა ევროპიელთა მტკიცე გადაწყვეტილებისა — აღდგენილ იქნეს „მთელი ევროპის მთლიანობა“ აღმოსავლეთ (გარდა რუსეთისა) ნაწილის შიგ შემოყვანით. საინტერესოა, რომ მთლიანობა თავდება პოლონეთ-ბალტიის აღმოსავლეთ საზღვრებზე და იგი იმას იქით არ მიდის.

მაგრამ ამ ფარგლებში კი იგი ემსახურება ამა თუ იმ ზომით იმავე მიზანს, რომელიც საბჭოთა დაჩაგრულ ერებსაც აქვთ ერთ-ერთ თავის მიზნად დასახული. ამ კომიტეტის მოხსენებიდან, რომელიც მან წარუდგინა ევროპის საბჭოს, ჩანს, რა გამანადგურებელი გავლენა მოუხდენია კომუნისტურ ბატონობას ე. წ. სატელიტებში; მოხსენება გვამცნობს თუ როგორ განუკითხავათ სპობს ის ყოველივეს, რაც ამ ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებს ეკუთვნის; მხოლოდ ერთად-ერთი ძალა დაგვრჩენია ამ ცივილიზაციის საფუძვლების შესანარჩუნებლათ: ევროპაში გადმოხვეწილი კულტურული მოღვაწენი და მეცნიერები და ამათ უნდა შევუქმნათ სათანადო პირობები ამ მისიის შესასრულებლათ. ასეთ დასკვნას აკეთებს კომისია. ეს შეხედულება გაზიარებულ იქნა სტრასბურგში „ევროპის თათბირისაგან“ და ამ ნაირად დამყარდა რეალური თანამშრომლობა „რკინის ფარდის“ იქით მყოფ ქვეყნებისა ევროპის საბჭოსთან.

ეს „სპეციალური კომიტეტი“ მუშაობს „ლტოლვილთა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კომისიასთან“. ამ უკანასკნელმა ასეთი თანამშრომლობის მოპოვების შემდეგ, საჭიროთ დაინახა მოეწვია განსაკუთრებული კონფერენცია, რომელიც შედგა გასულ იანვრის 21-24-ს ლონდონში.

ამ კონფერენციას დაესწრენ: ლტოლვილთა პოლიტიკური მოღვაწენი, როგორც ევროპიდგან, ისე ამერიკის შეერთებული შტატებიდგან, დაესწრნენ პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში მომუშავენი დასავლეთ ევროპიდან. დაესწრენ მთავრობათა ოფიციალური წრეებიდან ყოფილი და დღევანდელი მინისტრები და სხვა მნიშვნელოვანი პირები საზოგადოებიდან. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ლტოლვილ ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

კონფერენციას ქონდა ორი მთავარი მიზანი დასახული: ერთი — მომზადება კონსტრუქტიული პოლიტიკური და ეკონომიური პროგრამისა ფარდის იქითელ ქვეყნებისათვის იმ დროისათვის როცა ისინი გაერთიანებულ ევროპის ფარგლებში შემოვლენ განთავისუფლების შემდეგ. ასეთი წინასწარი მზადება აუცილებლათ მიაჩნიეს, რადგან დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა რეჟიმის ბატონობისა და აზრთა თავისუფალ გაცვლა-გამოცვლის აკრძალვის გამო, პოლიტიკურ და ეკონომიურ მოსაზრებაში ერთგვარ სიცალიერეს, ან აზროვნების მოდუნებას აქვს და ექნება ადგილი ამ ქვეყნებში და თუ მზა-მზარეული გეგმები, თავისუფალ ქვეყნებში დამუშავებული არ დაურჩათ, ახალის დამუშავება მეტისმეტათ გაჭიანურდება.

მეორე მიზანი იყო დასავლეთ ევროპაში იმ აზრის განმტკიცება, რომ შეუძლებელია დატოვება ამ ქვეყნებისა ასეთ დამონებულ მდგომარეობაში, რომ ეს შეუთავსებელია ევროპის კულტურულ განვითარებასთან. კომისიამ ამ კონფერენციას წარუდგინა მრავალი სერიოზულად დამუშავებული მოხსენებები სხვა და სხვა თემებზე: შესახებ სოფლის მეურნეობისა, ინდუსტრიალიზაცია — პროგრამა საერთოდ ეკონომიურ განვითარების შესახებ; აგრეთვე გეგმა ახალგაზრდათა დარაზმვის, პროგრამა პოლიტიკური და სხ.

ყველა ეს საკითხები კონფერენციამ დიდის ყურადღებით მოისმინა, გაარჩია და სათანადო დასკვნები გამოიტანა. ეს კონფერენცია იყო პირველი შემთხვევა, როცა დასავლეთის მთავრობათა დასტურით, მათი ოფიციალური წარმომადგენლები შეხვდენ ფარდის იქიდან ლტოლვილთა წარმომადგენლებს საერთო პრობლემების განსახილველათ, რაც უეჭველია, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტათ უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე ამ უკანასკნელთ მიეცათ დიდი საშუალება და აპარატი პოლიტიკური და კულტურულ მუშაობის გასაჩაღებლათ.

⁂

ამ კონფერენციის მუშაობასთან დაკავშირებით შეიქნა ლონდონში ერთი ახალი კომიტეტი იმ დაჩაგრული ერთა წარმომადგენლებისაგან, რომელნიც აღნიშნულ კონფერენციაზე მიწვეუ-

ლი არ ყოფილან. ლონდონში მყოფი წარმომადგენლები უკრაინის, ბელორუსიის და ქართველი ემიგრაციისა — შეიკრიბენ ცალკე ამ კონფერენციასთან და მის მუშაობასთან თავის დამოკიდებულების გამოსარკვევათ. ამათ შეუერთდენ ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ერები და ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლები, რომელთაც თავის განსაკუთრებული მოთხოვნილებები აქვთ არა მარტო დღევანდელ კომუნისტურ რეჟიმთან, არამედ თვით იმ სახელმწიფოებთანაც, რომლის ფარგლებში იმყოფებიან: ასეთებია სლოვაკები, კარპატის სუფენები, სუდეტის ნემცები და სხვანი. აი ყველა ამათ დიდი თათბირის და რჩევის შემდეგ შეადგინეს კომიტეტი, გამოიმუშავეს რეზოლიუცია იმავე პრობლემებზე, რომელიც კონფერენციის წინაშე იყო დასმული და გადასცეს იგი კონფერენციის თავმჯდომარეს თავის შეხედულებათა და მოთხოვნილებათა გასაცნობათ.

.................

## რეზოლიუცია

### მიღებული ქართულ სათვისტომოს საზოგადო კრებაზე

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საზოგადო კრებამ ზ. შ. აბდუშელის თავმჯდომარეობით 1951 წლის 30 სექტემბერს რუსეთის პირველი და მეორე შემოსევის 150 და 30 წლის თავის მოსაგონებლად.

მე-18 საუკუნის დასასრულს, რუსეთზე მინდობილმა საქართველომ მეგობრული, თუმცა უთანასწორო ხელშეკრულებით შეაფარა თავი რუსეთის იმპერატორთა მფარველობას. მოყრუელად მოწყვეტილი, დამცველად მიჩნეული რუსეთის იმპერია მუხანათური დამპყრობად გადაექცა საქართველოს, უარყო ხელშეკრულება, გასტეხა სიტყვა და სამართალი, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას რომ უნდა განაგებდეს.

უხეში ძალით გააუქმა 2000 წლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობა მისდამი მინდობილი ერისა.

118 წლის განმავლობაში მძიმე, უცხო უღლის წინააღმდეგ ბრძოლებში გაკაჟებული ქართველი ერი 1918 წელს კვლავ აღსდგა, განახლებული, გამობრძმედილი, რევოლიუციის ცეცხლ-გამოვლილი და თავისუფალ ერთა საერთაშორისო ოჯახში შევიდა თავის საკუთარი სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმით, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა.

შეიმუშავა თავისი კონსტიტუცია, შექმნა ადგილობრივი ორგანოები, მოიპოვა ცნობა მრავალ სახელმწიფოთა, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში.

კომუნისტური მოსკოვის მთავრობა ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც იცნო ჩვენი რესპუბლიკა და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პირობა დაგვიდვა. მაგრამ დაგვიდვა იმისთვის, რომ მეორე დღესვე შეიარაღებული თავდასხმით უარეყო თავის დაპირებანი.

საბჭოთა რუსეთის დიქტატორულმა მთავრობამ ვერ მოითმინა თავის გვერდით თავისუფლების მოყვარული ერის თავისუფალი, ჰუმანიური წყობილებით წელგამართული ერის არსებობა და თავის მრავალრიცხოვანებით თავგასულმა, უხეში ძალით დაიკავა პატარა საქართველო.

მაგრამ თავისუფლების აიაზმით ნაპკურები ქართველი ერი, როგორც ერთი და მთლიანი, კლდესავით ურყევი სიმტკიცით უმკლავდება ახალ მოძალადეთ. იგი პროტესტებით, მიტინგებით, სისტემატიური წინააღმდეგობით, აჯანყებათა მთელი რიგით, ამჟღავნებს თავის შეუდრეკელ ნებისყოფას — იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ქართული ემიგრაციის საჯარო კრება ამ ორი მუხანათური დატის 150 და 30 წლის თავზე შეკრებილი განურჩევლად პარტიისა, რწმენისა და მიმართულებისა, ქალი და კაცი, თავის მოვალეობად თვლის დღეს ხიშტებით პირაკრული და შებოჭილი ქართველი ერის სახელით მის მაგიერ მიელაპარაკოს მთელ განათლებულ კაცობრიობას ამ საბჭოთა კომუნისტური ტირანიის უმაგალითო ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც მრავალ სხვა ერთაც მოუსპო თავისუფლება და მთელ მსოფლიოს მშვიდობიანობას უდიდესი საფრთხით ემუქრება.

ქართველი ერი დაჩაგრული და ხმაგაკმენდილი იბრძვის დღესაც, და მთელი მოწინავე კაცობრიობისაგან, რომელიც ერისა და ადამიანის უფლებათა დროშას ატარებს, მოელის თანაგრძნობას, დახმარებას, ხელისშეწყობას ამ უთანასწორო ბრძოლაში თავის სუვერენულ უფლებათა დასაბრუნებლად.

ქართული ემიგრაცია თავის მხრივ ამ მწარედ მოსაგონარ - სამგლოვიარო თარიღების აღნიშვნის დღეს მტკიცე და ურყევ პირობას სდებს, რომ იცავს რა ქართველი ერის სუვერენულ უფლების ურყევ პრინციპს ყოველგვარ შელახვის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან, მზად არის მსოფლიო დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად მთელი თავის ძალით და შესაძლებლობით იბრძოლოს როგორც თავის, ისე ყველა საბჭოთა კავშირისაგან დაჩაგრული ერთა სუვერენულ უფლებების აღსადგენად და მის დასაცავად.

………………

# წ ე ს დ ე ბ ა

## ქართული ეროვნული საბჭო

I. ქართული ეროვნული საბჭო არის ცენტრალური ორგანო საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისა უცხოეთში.

### II. საბჭოს დანიშნულება

ქართული ეროვნული საბჭო მიზნად ისახავს იმუშაოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის.

კერძოდ:

ა. გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოქმედ ქართულ ძალებს და ორგანიზაციებს.

ბ. გასწიოს სათანადო პროპაგანდა უცხოეთის საზოგადოებრივ წრეებში.

გ. გააცნოს საქართველოს საკითხი და მისი ახლანდელი მდგომარეობა სხვა და სხვა ქვეყნის პასუხისმგებელ პირებს და ორგანიზაციებს, რათა მათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მხარი დაუჭირონ, როცა მათ წინაშე ეს საკითხი დადგება.

დ. გამოსცეს ბეჭდვითი ორგანო, წიგნები და საინფორმაციო ფურცლები ქართულ და უცხო ენებზე.

ე. საქმიანი დამოკიდებულება, თუ კავშირი დაიჭირონ ყველა იმ ორგანიზაციებთან და იმ ერების წარმომადგენლებთან რომელნიც:

1. უდავოთ სცნობენ ქართველი ერის სუვერენულ უფლებას და მხარს უჭერენ საქ. სახელმწიფოს განთავისუფლებას.
2. აღიარებენ საერთოდ ერთა თვითგამორკვევის უფლებას ურეზერვოთ.
3. იბრძვიან საბჭოთა რუსეთის მიერ დამყარებულ რეჟიმის წინააღმდეგ.

ვ. იძიებს ნივთიერ საშუალებას თავის დანიშნულების განსახორციელებლად.

### III. საბჭოს წევრთა მოვალეობა

ქართული ეროვნული საბჭოს წევრნი და მასში შემავალი ორგანიზაციები ვალდებულება იღებენ დაიცვან საერთო ბრძოლის ფრონტი და საერთო ხაზი მოქმედების საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, ერთი მეორეს თავს არ ესხმიან და არას შემთხვევაში საბჭოს დადგენილებათა წინააღმდეგ არ მოქმედებენ.

### IV. საბჭოს შემადგენლობა

ქართულ-ეროვნულ საბჭოს შეადგენენ:

1. ქართულ პოლიტიკური პარტიათა და პოლიტიკური ორგანიზაციათა წარმომადგენლები (რიცხვი განისაზღვრება შეთანხმებით).
2. ის ქართველი მოღვაწენი, რომელთა მოწვევა სასარგებლოთ იქნება მიჩნეული.

### V. ორგანო მმართველობის

1. ქართული ეროვნული საბჭოს მმართველი ორგანოებია: საზოგადო კრება და კომიტეტი.

2. საზოგადო კრება იმართება: ჩვეულებრივად — წელიწადში ორჯერ, ხოლო არაჩვეულებრივი — საჭიროების მიხედვით. მას იწვევს ქართული ეროვნული საბჭოს კომიტეტი თავის დადგენილებით, ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

3. საზოგადო კრება იმუშავებს მოქმედების საერთო პოლიტიკურ ხაზს და სამოქმედო დირექტივებს აძლევს კომიტეტს. იგი იმუშავებს და ამტკიცებს ბიუჯეტს.

4. კომიტეტი საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა. კომიტეტსირჩევს საბჭოს წევრთა საზოგადო კრება ხმის უმრავლესობით და ერთი წლის ვადით.

5. კომიტეტი შესდგება შვიდი წევრისა და სამი კანდიდატისაგან.

6. კომიტეტი თვით აწყობს თავის შინაგან ორგანიზაციას. კრება კანონიერია, როცა მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

7. ყოველი გადაწყვეტილება, როგორც საზოგადო კრებაზე, ისე კომიტეტში, სწყდება დამსწრეთა ხმის უმრავლესობით.

8. კომიტეტს აქვს მიწერ-მოწერა და გამოდის ყველგან ქართული ეროვნული საბჭოს სახელით.

## სიმართლისათვის

### (წერილი რედაქციის მიმართ)

მიუნხენის ქართულ პოლიტიკურ კომიტეტის წევრთა ერთი ნაწილის მიერ მიღებულ მოწოდებისადმი ჩემი ნეგატიური დამოკიდებულება თავის დროზე უშუალოდ მოვახსენე მის ავტორებს. მას დასაბუთებული დაფასება მიეცა „მებრძოლ საქართველოს" № 1-ში და მეც არსებითად დასამატებელი არაფერი მაქვს. მაგრამ რამდენად მე, თვით ამ კომიტეტის წევრმა, პირველად გაზეთიდან გავიგე ამ ნაწარმოების კომიტეტის სახელით და ისიც საყოველთაოდ გასაცნობად დაგზავნა, იძულებული ვხდები საჯაროდ განვაცხადო, რომ კომიტეტს, როგორც ასეთს, ამ მოწოდებასთან არაფერი საერთო არა აქვს. აი რატომ:

მიუნხენის კომიტეტის არსებობა აგებულია არა რაიმე ძალთა განწყობილებისაგან გამომდინარე არჩევნებზე, არამედ მიუნხენში მობინადრე პოლიტიკურ პიროვნებათა შინაური ურთიერთ შეთანხმებაზე, ე. ი. თვითდანიშვნის საფუძველზე, მასში შემავალი სხვა და სხვა პოლიტიკური მიმდინარეობათა წარმომადგენლობის რიცხვობრივად განუსაზღვრელად. ამის მიხედვით ის წარმოადგენს, როგორც ფორმალურად, ისევე არსებითადაც, მეტს არაფერს, თუ არა სამ გარკვეულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ინტერპარტიულ ორგანოს. ამას მოწმობს სხვათა შორის ის სინამდვილეც, რომ ის მოკლებულია ისეთ ინსტანციას, რომლის წინაშე ის, მთლიანად, ვალდებული და პასუხისმგებელი იყოს თავის საქმიანობაში.

თუ ზოგიერთ პირობებს ანგარიშს გავუწევთ, ასეთ წესთან სადავო არაფერი შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ თავის თავად ასეთი შემთხვევისათვის ნაგულისხმევ უეჭველ პირობით, რომ ასეთი ორგანო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს თვით მისი წარმოშობა — შედგენის საფუძვლად დადებულ შეთანხმებით და არა განუსაზღვრელ მანდატთა ხმის უბრალო უმრავლესობით, რასაც, სხვა თუ არაფერი, შეუძლია განსაცდელში ჩააგდოს თვით მისი არსებობაც კი. ამ მარტივი წესის დაცვა ამ შემთხვევაში იმდენად სავალდებულო და აუცილებელია, რომ ის თვით მეგობრულ ხელის შეხებასაც ვერ იტანს.

ამავე დროს ცნობილი ფაქტია, რომ აღნიშნულ მოწოდების ირგვლივ ასეთ შეთანხმებას ადგილი არა მისცემია. ის შეიმუშავა და გაიზიარა კომიტეტის მხოლოდ ორმა მიმდინარეობამ, მესამემ კი ის უარყო. ამით აიხსნება, რომ მოწოდებას ხელს აწერს არა კომიტეტის ნების ამსრულებელი პრეზიდიუმი, როგორც ეს საერთოდ მიღებულია, არამედ, პერსონალურად, მხოლოდ მისი გამზიარებელი ერთი ნაწილი, რომელსაც საკუთარი ნაწარმოების კომიტეტის სახელით გასაღების უფლება არ ჰქონდა.

თუ ეს ნაწილი ასეთ მოთვალისწინებას მაინც არ მოერიდა, დეე ამას მსჯავრი მკითხველმა დასდოს.

კომიტეტის წევრი **ერ. რამიშვილი**

## ქ რ ო ნ ი კ ა

### ექიმი კ. ხოჭოლავას ლექცია

2 მარტს, მთელი დარბაზი „სოსიეტე სავანტ"-ის გაჭედილი იყო ხალხით. დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ბ. კ. ხოჭოლავას გულწრფელი და მხურვალე, სიტყვა განსვენებული, ექ. ვახ. ღამბაშიძის დიდ საექიმო და საზოგადოებრივ მოღვაწეობის დასახასიათებლად. ამ კეთილშობილ ადამიანის და მოღვაწის სრული სურათი ვიგრძენით და განვიცადეთ ყველამ.

შემდეგ თვით ბ. ხოჭოლავამ საექიმო მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს გაგვაცნო და რთული პრობლემის მარტივი და გასაგები ენით გადმოცემამ, გაგვიადვილა ინტერესით მოსმენა. ხმა დაბალი აქვს ლექტორს და შემდეგში რომ მიკროფონს მოუწყობდენ, ურიგო არ იქნება, რადგან გვინდა კვლავ მოვუსმინოთ.

ჟურნალ „მებრძოლი საქართველო"-ს რედაქცია
მოთავსებულია:
9, Rue Jobbé Duval,
Paris 15e.
Tél.: VAU. 25-14.
წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს
აღნიშნული მისამართით.

Directeur responsable: Nic. Ourouchadzé, 13, rue Edgar-Quinet Montrouge — Seine
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.

ქ-662